ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაკადული

140
2004



# გრიგოლ ხანძთელის სახელობის N1 ექსპერიმენტული სკოლა






## თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, II კლასი, ხელმძღვანელი ია მესხი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2004 წ. №9

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაკვალევზე ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ---------- 2
რევაზ ინანიშვილი – ზამთრის პატარა ილუზიები (მოთხრობა) ---------- 3
სიახლეთა დანერგვის გზით ---------- 4
ანა კალანდაძე-80 ---------- 6
გიორგი და მისი შემოქმედება ---------- 9
საახალწლო ტრადიციები ---------- 10
მაინც როგორი იყო ტატო? ---------- 12
17 წლის აკადემიკოსი (მარადიული სახელები) ---------- 13
„ოდოიშხერი“ ---------- 15
არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე? ---------- 16
რას ვინატრებდი საახალწლოდ და... ---------- 19
მზია მექერიშვილი – როგორ ხვდებიან ახალ წელს ტყეში? (ზღაპარი) ---------- 21
როდის ხდება ბიჭი მამაკაცი? ---------- 23
ტესტი ---------- 29
სიცილის გაკვეთილი ---------- 31

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## პატარები ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ

გალერეა „დიდ ჩე გევარაში" გამართული ქართველი და უცხოელი ბავშვების ნახატების თემატური გამოფენა „დაიცავით ჩვენი მომავალი" მიეძღვნა ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მსოფლიო დღეს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის რამდენიმე სკოლის, საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის, №1 ბავშვთა სახლის აღზრდილების, ამერიკელი, სომეხი, მაკედონიელი, ინგლისელი და სხვა უცხოელი პატარების ნამუშევრები. გამოფენის დამთვალიერებლებისა და სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელების ნამუშევრებმა, მათ შორის, 13 წლის მაია საყვარიშვილის ნახატმა „ჩემი ინტერნატი", 8 წლის აჩიკო ბოლქვაძის „საქართველომ", 14 წლის თორნიკე ლურსმანაშვილის „ტაძარმა", 13 წლის ხატია აფციაურის „დელფინებმა" და სხვა.

## ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ხსოვნას მიეძღვნა 1991-1992 წლებში დაბადებულთა გუნდების ტურნირი ფეხბურთში. ტურნირის ორგანიზება-ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ. ტურნირის გამარჯვებულმა გუნდმა „ედელვეისმა" (მწვრთნელი თამაზ გურასპაშვილი) ფინალურ შეხვედრაში პენალტების სერიით დაამარცხა თბილისის 25-ე სკოლის გუნდი, რომელიც II ადგილზე გავიდა, III საპრიზო ადგილი „ფორვარდმა" დაიკავა.

## საჩუქრები ცხინვალის რეგიონის ქართულ სკოლებს

საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაია ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების სკოლებს ეწვია და მათ საჩუქრად სასკოლო სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა ჩაუტანა.

## აუქციონი ბავშვთა სახლების სასარგებლოდ

სასტუმრო „თბილისი-მარიოტში" კავკასიის ბავშვთა დაცვის ფონდმა, რომლის ხელმძღვანელიც ბატონი ჩარლზ სტრომია, თელავისა და ძეგვის ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს წინასაახალწლო დღესასწაული მოუწყო. ზეიმზე წარმოდგენილი იქნა პატარების საყვარელი წიგნის „პეპი გრძელიწინდას" მოტივებზე შექმნილი სპექტაკლი. სპექტაკლის შემდეგ კი გაიმართა მხიარული აუქციონი, რომელსაც თავად ბატონი სტრომი უძღვებოდა და რომლის მთელი შემოსავალი ძეგვისა და თელავის ბავშვთა სახლების საჭიროებას მოხმარდება.

## პიონერფილმელთა მორიგი წარმატება

ნორჩ კინომოყვარულთა ფესტივალ „თბილისური აისის" მთავარი პრიზი ერგო მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სტუდია „პიონერფილმის" აღზრდილის დავით ნანობაშვილის ფილმს „მირონმდინარე ხატები". ტელეკომპანია „მზის" სპეციალური პრიზი კი „პიონერფილმის" ხელმძღვანელმა ბატონმა გრიგოლ ჩიგოგიძემ დაიმსახურა. ფესტივალის მონაწილე ფილმების უმრავლესობაც სწორედ პიონერფილმელების გადაღებულია. ამ სტუდიის გარდა, წლევანდელ „თბილისურ აისში" სამხატვრო აკადემიის სტუდიელებისა და თელავის სტუდია „თეთრი წეროს" ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი.

# ზამთრის ჯაცარა ილუზიები

**მოთხრობა**

რევაზ ინანიშვილი

სოფლის სკოლაში რომ ვსწავლობდი, ძალიან ადრე ვიღვიძებდი. ლოგინიდანვე მივწვდებოდი ფანჯარას, ფარდას გადავწევდი და თუ ბნელოდა, წიგნს ავიღებდი, ისევ ჩავთბუნდებოდი და იმ წიგნის კითხვას ვიწყებდი.

ჩემს დედ-მამას და და-ძმებს სხვა ოთახებში ეძინათ. მარტო ბებიას ვერ ავასწრებდი ხოლმე ვერასოდეს. მე რომ გავიღვიძებდი, ბებია უკვე ფეხზეც იყო და ღუმელიც გაგუგუნებული ჰქონდა.

ძალიან კარგი იყო გათენების ხანის სიწყნარე, იმ სიწყნარეში მამლების ყივილი, ძაღლის ყეფა, ღუმელის გუგუნი და წიგნის კითხვა.

ერთხელ, ერთ კვირა დღეს, სკოლაში არ უნდა წავსულიყავი, მაგრამ მაინც ადრე გამეღვიძა. გავახილე თვალი: ლამპა ანთებულია, ღუმელი გუგუნებს, მაგრამ მომეჩვენა, რომ კიდევ ხდებოდა რაღაც. გავწიე ფარდა, გავიხედე გარეთ და სიხარულით გადავკოტრიალდი ლოგინზე. თოვლი მოსულიყო, კვლავაც თოვდა.

ვიცმევ ტანსაცმელს და ისევ მეჩვენება, რომ სხვა რაღაც ხდება. რა? რა? ვერა ვხვდები. მივედი ღუმელთან, დავჯექი დაბალ სკამზე, ფეხსაცმელი უნდა ჩავიცვა და ვხედავ: ღუმელქვეშ თეთრი ტილო აქვს გადაფარებული რაღაცას, ავწიე ის ტილო და თვალებს არ ვუჯერებ, – ჩურჩხელები! ბევრი, ბევრი, თეთრად დაშაქრულები! პირდაღებული ვარ, აღარ ვიცი, რა ვქნა. სწორედ ამ დროს შემოვიდა ბებია.

– რა ბედნიერი დღეა, ბებო! – შევძახე აღტაცებით, – გარეთ თოვლი, აქ კიდევ ამდენი ჩურჩხელა!

ბებიას გაეღიმა, ერთი ჩურჩხელა ამომირჩია, სხვებს ისევ ტილო წააფარა და დარიგებით მითხრა:



– ცოტა ჩანოტივებულა, შვილო, ნამდვილი ბედნიერი დღეებისთვის რომ არ დაგვიობდეს, უნდა გავაშროთო.

მე ფეხთ ჩავიცვი, ჩურჩხელა ჩავკბიჩე და გარეთ გავვარდი. გარეთ გათენებულა, მაინც მიბუნდოვანებულია ყველაფერი: ხეების ტოტები – შეფუმფულებული, დაბარდნილი, დაბლა დახრილი თოვლის სიმძიმისაგან. ჩუმად, ნელ-ნელა ჩამოდიან უამრავი ფიფქები. მოვხვეტე მოაჯირზე თოვლი, დავაგუნდავე და გავისროლე ბაღისაკენ. არ ვიცი, ამ გუნდამ დააფრთხო, თუ თვითონ აფრინდა, – ჭახჭახით, შავად წავიდა შაშვი. აფრინდა ლამაზი სკვინჩაც, შეჯდა ხმელ როკზე, მიბრუნდა, მობრუნდა და დაიძახა:

სკვინჩ! სკვინჩ!

ჩავედი ძირს. ვიყურებოდი ცაში. მახარებდა, – როგორ ჩამოდიოდნენ, როგორ მოისწრაფოდნენ ჩემკენ ფიფქები. გახარებული ვკბეჩდი ტკბილ ჩურჩხელასაც. ჩემს თვალწინ, თითქოსდა მხოლოდ ჩემთვის დგებოდა საყვარელი ზამთარი. მაგრამ ვიგრძენი, რომ კიდევ ხდებოდა სხვა რაღაცაც. ვიდექი, ვიყურებოდი ხან მაღლა, ხან აქეთ-იქით, ვფიქრობდი.

ბოლოს მივხვდი, – უცებ გავზრდილიყავი მთელი ერთი წლითაც. მაგრამ ცოტა ხანში ისევ მომეჩვენა, რომ კიდევ ხდებოდა სხვა რაღაცაც. თანაც კარგი რაღაც. რა? რა? ამაზე ფიქრით გავატარე ის დღე. ნაფიქრი მაქვს შემდეგაც, სხვა თოვლობას. ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ დღესაც. ვდგავარ ხოლმე თოვაში, ვგრძნობ, რომ რაღაცაც ხდება, გარდა ხილულისა და შეგრძნობილისა, თანაც კარგი რაღაც, მაგრამ რა – არსაიდან არ არის პასუხი.

23272



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიახლეთა დანერგვის გზით

ბოლო დრომდე ჩვენს სკოლებში დამკვიდრებული სწავლა-აღზრდის სისტემის არასრულყოფილება განათლების მესვეურთა მოწინავე ნაწილს მისი გარდაქმნისკენ, სიახლეების ძიებისკენ უბიძგებდა. საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმატორული იდეების განხორციელების მიმართული ექსპერიმენტი, რომელიც პირველ რიგში მოსწავლე-მასწავლებლის შორის უშუალო, გულღია საუბრის ფორმის, მათ ურთიერთნდობაზე, მასწავლებელსა და მშობლის თანამშრომლობაზე აგებული ურთიერთობების დამკვიდრებას ესწრაფოდა. სკოლა აკადემიკოს შა-



პლაცდარმად არჩეულ სკოლას ასეც დაერქვა — პირველი ექსპერიმენტული სკოლა, ასე ჰქვია მას დაფუძნებიდან 37 წლის შემდეგაც, ოღონდ მოგვიანებით მის სახელწოდებას დიდი გრიგოლ ხანძთელის სახელი მიემატა. პირველი ექსპერიმენტულის დამაარსებელი ბატონი ლევან ჩიქვანაია გახლავთ. ის იყო მისი პირველი დირექტორიც. ბატონი ლევანის უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო და მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისკენ ლვა ამონაშვილის ლაბორატორიად იქცა. პედაგოგიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით სკოლაში არაერთი სიახლე დაინერგა, რომელთა სასიკეთო შედეგების კვალი დღესაც გამოარჩევს პირველ ექსპერიმენტულ სკოლადამთავრებულებს. გამოხდა ხანი, დაინგრა საბჭოთა სისტემა, დაიწყო ახალი ქვეყნის შენება, შესაბამისად შეიცვალა საგანმანათლებლო სისტემის დანიშნულება, მიზნები, ორიენტირები. გაჩნდა ახალი მოთხოვნები, პრიორიტეტები. მერვე წელია, რაც გრიგოლ ხანძთელის სახელობის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი ქალბატონი ცაცინო გოშხეთელიანი გახლავთ და უთუოდ მისი დიდი დამსახურებაა, რომ რეფორმატორული პროცესის ტრადიციულ ფლაგმანს, პირველ ექსპერიმენტულ სკოლას, სხვებზე მეტად გაუადვილდა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობის გარდაქმნა, რადგანაც ბევრი სიახლე, რომელთა დანერგვის აუცილებლობის წინაშე დადგა ჩვენი განათლების სისტემა, აქაური მოსწავლე-მასწავლებლებისთვის უკვე განვლილი ეტაპია. სწორედ ამიტომაც არ უძნელდებათ ამ სკოლაში ახალ პარამეტრებზე გასვლა. დროის მოთხოვნათა და საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად შემოიღეს პირველ ექსპერიმენტულში რამდენიმე წლის წინ ახალი სასწავლო დისციპლინები ეკონომიკა და ჟურნალისტიკა, ინგლისურ და გერმანულ ენებზე ისწავლება აქ კიდევ ერთი ახალი საგანი — მოქალაქეობა, მოსწავლეთა ადრეული პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად კლასგარეშე ღონისძიებები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, სხვადასხვა დარგისა და სფეროს წარმომადგენლებთან. ეს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვედრები მოკლებულია პომპეზურობას, ზეიმურობას. როგორც წესი, ეს არის დიალოგი, რომლის დროსაც მოსწავლეები თავისუფლად, მასწავლებლების ჩაურევლად ესაუბრებიან სტუმრებს, არკვევენ მათთვის საინტერესო საკითხებს, კამათობენ, იძენენ ცოდნას. მოგეხსენებათ, გარკვეული დროიდან ჩვენს სკოლებს, პედაგოგებს საშუალება მიეცათ თავად აირჩიონ ამა თუ იმ საგნის სახელმძღვანელო და აი ამ ალტერნატიული სახელმძღვანელოების პრეზენტაცია და მათი ავტორების მოწვევა შემოიღეს პრაქტიკაში პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებმა. მსგავსი შეხვედრები საშუალებას აძლევს სახელმძღვანელოების შემდგენლებს მოისმინონ პედაგოგებისა და მოსწავლეების პირუთვნელი აზრი, სამომავლოდ გაითვალისწინონ მათი შენიშვნები, მოსაზრებები და სურვილები.

სკოლის ერთ მუშტად შეკრულ თანამოაზრე პედაგოგთა კოლექტივი და მისი ხელმძღვანელი ძალისხმევას არ იშურებენ, რათა იმთავითვე ფუძეჩაყრილ ტრადიციებს არ უღალატონ და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მუდმივად ახალი გზებისა და მეთოდების ძიება-დანერგვის ნიშნით წარმართონ. ამიტომაც გაიარა თითქმის ყველა მათგანმა ტრეინინგები, ამიტომაც არ აძლევს ქალბატონი ციცინო არც საკუთარ თავს და არც სხვებს მოდუნების, რაიმე სიახლეზე წაყრუების, გარდაქმნათა გზიდან გადახრის უფლებას და ეს სულისკვეთება, რაღა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა მოსწავლეებზე აისახება.

სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა დებატკლუბი, რომელშიც უფროსკლასელები არიან გაერთიანებულები. დებატების თემებს თვითონ ბავშვები ირჩევენ და როგორც წესი, თემები და საკითხები უაღრესად საინტერესო და მწვავეა ხოლმე და შესაბამისად ცხარე კამათის საგანი ხდება. ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: „გიორგი საააკაძე“, „გეორგიევსკის ტრაქტატი“, „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა“, „განათლების რეფორმა“. დებატებისთვის მზადება, კლუბში გამართული პაექრობა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, მოსმენის კულტურის განვითარებას, ლიდერის აღზრდას მოზარდებში, ასწავლის მათ ურთიერთის აზრის პატივისცემას, საკუთარი პოზიციის დაცვას. სკოლის დაფუძნების პირველი დღეებიდანვე დამკვიდრებული შეუზღუდაობის გარემოში ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის დღეები, როდესაც ბავშვები მცირე დროით პედაგოგებისა და დირექტორის ფუნქციებს ასრულებენ, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ მათგანს სრულად გაისიგრძეგანოს უფროსების პასუხისმგებლობა, მათი შრომა-გარჯის უდიდესი მნიშვნელობა. დამოუკიდებელ აზროვნებას შეჩვეულ ყმაწვილებს არც ეუთოს ეგიდით გამართულ კონკურსში „თავისუფალი ჟურნალისტიკის განვითარება“ გამარჯვება გასჭირვებიათ. კონკურსის მონაწილე 15 სკოლას შორის ჟიურიმ საუკეთესოდ გრიგოლ ხანძთელის სახელობის ექსპერიმენტული სკოლა ცნო და ეუთოს გრანტის სახით მინი-სტამბა გადასცა მას. ისე რომ, უფროსკლასელები ახლა უკვე საკუთარ ბაზაზე უშვებენ სკოლის გაზეთებს.

ამ სკოლისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანია ყურადღება, რომელსაც აქ ფიზკულტურისა და სპორტისადმი იჩენენ. აქაური მოსწავლეები ხალისით მისდევენ კალათბურთს, ტაეკვანდოს, წარმატებით მონაწილეობენ მხიარულ სტარტებში.

სიახლის ძიება-დანერგვისკენ მიდრეკილი სკოლის დღევანდელი წარმატებები ხვალ და ზეგ საქართველოსთვის იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრას წაადგება, რომელთა დადებითად გადაწყვეტას ჩვენი ქვეყნის აღმავლობა, აყვავება და ყოველმხრივი გაძლიერება უნდა მოჰყვეს, აქ ეს პედკოლექტივის თითოეულ წევრს აქვს გაცნობიერებული და ამიტომაც მოწადინებასა და შრომა-გარჯას არ იშურებენ საამისო წინაპირობების შესაქმნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანა კალანდაძე – 80



„სულ უმნიშვნელო ბიძგმა, სულ უბრალო შემთხვევამ შეიძლება შეარხიოს ჩვენში ის პოეტური სიმი, რომელიც თითქოს ამ გარეგან ფაქტორს ელოდაო. გავიხსენებ ჩემი ბავშვობიდან იმ ერთ შემთხვევას, რომელმაც სწორედ ეს სიმი შეარხია ჩემში და თითქმის იმთავითვე განსაზღვრა ჩემი მომავალი. ეს შემთხვევა რომ არა, შეიძლება პოეზიას არც დავკავშირებოდი.

ჩემი პირველი პოეტური შთაგონება, ჩემი პირველი პოეტური სიტყვა ჩემს მშობლიურ სოფელს – ხიდისთავს უკავშირდება. იგი გურიაშია, ჩოხატაურის რაიონში. ამ სოფელში ვარ დაბადებული მოსამსახურის ოჯახში. დედას, ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლის დამთავრებისთანავე სრულიად ახალგაზრდას დაუწყია მასწავლებლობა ხიდისთავში, სადაც შეხვედრია კიდეც თავის მომავალ მეუღლეს. მამა პროფესიით პროვიზორი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებულს აფთიაქარის თანაშემწის წოდება მიანიჭეს და გარდაცვალებამდე მუშაობდა ქუთაისში დასავლეთ საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს რწმუნებულის თანამდებობაზე. ჩვენი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა, იქ მივიღე პირველდაწყებითი განათლება და საშუალო სასწავლებელიც იქვე დავამთავრე.

ზაფხულის არდადეგებს ბავშვები თითქმის ყოველთვის ვატარებდით ხიდისთავში, სადაც ჩვენი უფროსი მამიდა ცხოვრობდა. იგი სიკვდილამდე არ მოშორებია მამაპაპისეულ კერას და ბოლომდე შეძლებისდაგვარად უძღვებოდა საკმაოდ დიდ ოჯახს. ყოველ ზაფხულს მოუთმენლად მიგველოდა, სოფლად გამგზავრება ჩვენთვისაც დღესასწაული იყო ჩემი ბავშვობა ძალზე უფერული იქნებოდა ხიდისთავში გატარებული უბედნიერესი დღეები რომ არა!

მახსოვს, ზაფხულის ერთ საღამოს ბავშვები ჩვენი ძველებური ფართოაივნიანი ოდის წინ ეზოში ვისხედით და დიდის გულისყურით ვუსმენდით მამიდას, რომელიც მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში. იმ ზაფხულს ისიც ჩვენთან ერთად ისვენებდა, თავისი უფროსი დის სტუმარი იყო; მოულოდნელად ჩვენი ყურადღება საოცარმა ნათელმა მიიპყრო, ნათელმა, მთათა წვერებს რომ ეფინებოდა. მთვარე ამოდიოდა, ყურადღება გაგვეფანტა... მამიდამ იგრძნო: მშვენიერია, არა? – გვკითხა და მეორე დღისათვის ყოველივე ამის აღწერა გვთხოვა.

დილისათვის ორსტროფიანი ლექსი მზად მქონდა. ლექსს, რა თქმა უნდა, „ბადრი მთვარე“ დავარქვი. მამიდამ დიდად გაიხარა, ლექსი მომიწონა და შინაურებსაც წაუკითხა. სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი, რომ დავალების შესრულება შევძელი და მამიდას ვასიამოვნე. ლექსი მერე ჩვენი სკოლის კედლის გაზეთშიც მოხვდა. ეს გახლდათ ჩემი პირველი ლექსის პირველი „პუბლიკაცია“, – მას შემდეგ არსად არაფერი არ გამომიქვეყნებია 1946 წლამდე. ქუთაისის პირველ საცდელ-სანიმუშო სკოლაში ვსწავლობდი, მეხუთე კლასში ვიყავი, 11 წლისა, იდგა 1935 წელი...”

## მოდიოდა ნინო მთებით

„ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ევაოდა მას ჟამსა“.

ნინო

ლურჯ მწვერვალებს ქარი
რმისფერ ნისლში ხვევდა
და, როდესაც ბარში ვარდნი
ევაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს
მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა
მრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა,
და მოჰქონდა სანატრელი
ვაზის ჯვარი.

თოვლის მთებით კვირდებოდა
უცხო მგზავრი, –
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი
მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა:
– რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა:
– საქართველო არის ესე!
მიემინა... ერთ წალკოტში მიემინა
და ფშატებმა მზისკენ მოუჩრდილეს,
ეს... ვინ არი, გამოცხადდა
მგზავრის წინა?
– „ნუ გეშინინ!“ – მიუგებდა იესო.
გაეღვიძა... წუთით იგრძნო
მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?!
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...

## ჟუჟუნა წვიმა მოვიდა

ჯეჯილში ჩაიშრიალა
თვალგახელილმა ყანამა,
მთით მობერილმა ნიავმა,
ნარგიზის იავნანამა...
ერთი პაწია ჩიორა
მუხიდან მომესალამა...
ია განგებამ დახატა,
თუ ფიროსმანის ყალამმა?
ყაყაჩოს „ღვინო სალხინო“
როგორ არ შესვას ანამა?!
„ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა“.

# მსოფლიო კიდით კიდემდე



## ტაილანდი

### ავტობუსის ნაცვლად სპილო

პატარა ტაილანდურ ქალაქ აიუტჰაის სკოლის 10 წლის მოსწავლე ზიკანი სასწავლებელში ავტობუსით, ტრამვაით ან მანქანით კი არ მიდის ხოლმე, არამედ... სპილოთი. თუმცა გოგონას სამტონიანი „ტრანსპორტი“ – სპილო ჯა-



მპი საკმაოდ დინჯია, ზიკანი სკოლაში იშვიათად აგვიანებს. დილაობით ჯამპის დანახვაზე მთელი სკოლა გარეთ გამოეფინება ხოლმე და სპილოც უდრტვინველად აფერებინებს ხოლმე ბავშვებს თავს. ზიკანის მამა სპილოების მწყემსია (თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ასეთი მწყემსებიც არსებობენ), გოგონა კი სპილოების, კერძოდ კი ჯამპის მოვლაში ეხმარება მას, ანანასის ფოთლებს უმარაგებს და აჭმევს თავის მეგობარს, საბანაოდ დაჰყავს იგი.

## ავსტრია

### მოგზაურობა XVIII საუკუნეში

შენზრუნის უძველეს ციხე-დარბაზში გაიხსნა უჩვეულო მუზეუმი, სადაც პატარა დამთვარიელე-



ბლებს შეუძლიათ ძველებურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოეწყონ, XVIII საუკუნეში გადასახლდნენ და სტუმრად ეწვიონ იმპერატრიცა მარია ტერეზას. აქ მათ აცნობენ სამეფო კარზე მიღებულ ეთიკეტს, ქცევის წესებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ასწავლიან იმდროინდელ ცეკვებს.

## დიდი ბრიტანეთი

### თეთრი საკლასო დაფები

დიდი ბრიტანეთის სკოლებში ჩვეულებრივი შავი ან ყავისფერი საკლასო დაფის ნაცვლად თეთრი ციფრული დაფა შემოიღეს. ეს დაფა ირთვება ინტერნეტში ან ვიდეოფირსაკრავს უერთდება. გარდა ამისა, ახალ დაფას შეუძლია მასზე ინფრაწითელი ფანქრით დაწერილი ინფორმაციის დამახსოვრება და მერე მისი პრინტერზე ამობეჭვდა. ასეთი დაფა ეხმარება მოსწავლეს, რომელმაც რაღაც მიზეზით გაკვეთილი გააცდინა, ადვილად აღიდგინოს ის მასალა, რაც მისმა ამხანაგებმა მეცადინეობაზე აითვისეს.

## რუსეთი

### პატარა ბესლანელების დასახმარებლად

ბესლანში დატრიალებული ტრაგედიით გამოწვეული ტკივილის დაამებაში აქაურ ბავშვებს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ეხმარება. საფრანგეთმა, გერმანიამ, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და სხვა სახელმწიფოებმა ჩრდილო ოსეთის საავადმყოფოებს სამედიცინო აღჭურვილობა და წამლები გამოუგზავნეს. იუნისეფის ბავშვთა ფონდმა კი ბესლანის სკოლებისთვის მერხები, დაფები, კომპიუტერები, სპორტული ინვენტარი და სახელმძღვანელოები შეიძინა. ბესლანელ ბავშვებს მათი თანატოლებიც უგზავნიან საჩუქრებს – სათამაშოებს, სასკოლო ნივთებს. ყოველდღე თანაგრძნობითა და სითბოთი აღსავსე უამრავ წერილს იღებენ პატარა ბესლანელები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.





## ზამთრის ზღაპარი

**ლაშა გახარია**

ბებო, მოქსოვე ზღაპარი –
ნაცარქექიას დავუგებ,
ცეცხლთან დავაწვენ
თბილადა,
გულის ტკივილებს
გავუგებ.
დავულბობ გამხმარ
ქალამნებს,
ხურჯინს ავუვსებ
ღადარით, –
გაღმა გარეკოს ჭინკები
ფეხით გათელოს ზამთარი.
ტყიდან მოზიდოს ფიჩხები,
ქარს შეაყაროს ნაცარი...
ბებო, მოქსოვე ამაღამ
ერთი ქართული ზღაპარი.

## ახალი წელი

**ნელი დარსაველიძე**

ჩახჩახებს ყველა სახლი,
ბოლო ელება ლოდინს,
ისარი თორმეტს ემებს,
ახალი წელი მოდის.
ნაძვის ხე, მოკაზმული,
ალერსით თვალებს ნაბავს,
დგას და გვიღიმის ჩუმად
თეთრწვერა თოვლის პაპა.
ცის თაღზე მოაფრქვიეს
თითქოს ურიცხვი ვარდი...



არა, არ სძინავს მთვარეს,
ის გუშაგივით დადის.
კვლავაც ილაღე, დღეო,
ახარე მთა და ველი,
უფრო აენთე, მზეო, –
მოდის ახალი წელი.

## ცირცელი

**სიმონ შამფრიანი**

შეჭირვებულნი დეკემბრის
თოშით,
როცა ჩვენ ბუხრებს
მივეფიცხებით –
გატრუნულ ტყეში,
მუხლამდე თოვლში,
სუფრას გულუხვად გაშლის
ცირცელი.
დაიწვევს შაშვებს,
წიწკანებს,
ჩხართვებს,
ხე თავმდაბალი,
სათნო, ჭაღარა,
და, ვით გულღია
მასპინძელს მართებს,
სულ იღიმება
გულგასახარად.
ო, როგორ ილხენს
სტუმართ კრებული! –
ნეტავი ერთხელ მაინც
გაჩვენათ!..
და უგალობენ
დანაყრებულნი
ზამთრის ყინვაში
მხსნელს და მარჩენალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა









# გიორგი და მისი შემოქმედება

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიაში უკვე ტრადიციად იქცა სტუდიის წევრთა შემოქმედებითი საღამოების გამართვა. მორიგი ასეთი საღამო თბილისის კეთილშობილ ქალთა და ვაჟთა პანსიონის მოსწავლეს გიორგი ასათიანს მიეძღვნა. იმ დღეს კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ამ გამორჩეული თვისებებით შემკული ყმაწვილის მრავალწახნაგოვანმა ნიჭმა. დარბაზში შესვლამდე აქ მოსულ მრავალრიცხოვან სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ფოიეში გამოფენილი გიორგის ნახატები და დამტკბარიყვნენ ავტორის საინტერესო აზროვნებით, მხატვრული ტემპერამენტით, ექსპრესიითა და დახვეწილი გემოვნებით. აქვე იყო წარმოდგენილი მის მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი ჯილდოები – სიგელები, მედლები, დიპლომები, მადლობები. დაიწყო საღამო და დამსწრენი ნორჩი ხელოვანის შემოქმედების კიდევ ორ მხარეს – ვოკალსა და პოეზიასაც გაეცვნენ. ორიგინალურად ჩაფიქრებულ სცენარზე აგებულ საღამოს გიორგის სტუდიელი მეგობრები მეგი საჯაია და ოთარ კახიძე უძღვებოდნენ, რომლებიც ყველაფერთან ერთად, მღელვარების დაძლევაშიც ეხმარებოდნენ მას. გიორგიმ წაიკითხა სამშობლოს სიყვარულით, სიკეთით, ნათელით გამსჭვალული საკუთარი ლექსები, ჩვეული ოსტატობით, გზნებით შეასრულა მისი საყვარელი სიმღერები. რამდენიმე ნაწარმოები გიორგიმ თავის დასთან, მარიამთან ერთად იმღერა, რომელიც ასევე საუკეთესო მუსიკალური მონაცემებით არის დაჯილდოებული. შესრულების თავისებურმა მანერამ, ხმის სასიამოვნო ტემბრმა, საოცარმა სმენამ, სიმღერის არსის შეგრძნების საუცხოო უნარმა ამჯერადაც, ისევე როგორც გიორგის მონაწილეობით გამართულ ყველა კონცერტზე, საყოველთაო მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. აპლოდისმენტები, ყვავილების ზღვა და აღტაცების შეძახილები – ასე გამოხატა დამსწრე საზოგადოებამ მადლობა მიღებული დიდი სიამოვნებისთვის. ნორჩ შემოქმედს ტაშს უკრავდნენ თანაკლასელები პანსიონიდან, მეგობრები თბილისის კულტურის ცენტრ „იმედთან“ არსებული ვოკალურ-საესტრადო სტუდიიდან „მეკვლე“, რომლებმაც საღამოზე გიორგისთან ერთად რამდენიმე სიმღერა შეასრულეს, მასწავლებლები, ნათესავები, – ისინი ვინც ამ ნიჭიერ, ზრდილ, თავმდაბალ, შრომისმოყვარე, ჭეშმარიტი რაინდის თვისებებით შემკულ, სულიერებისკენ მიდრეკილ ყმაწვილში ქვეყნის, ერის საუკეთესო მომავალს ხედავს და ვისაც მისი დიდი იმედი აქვს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო ტრადიციები



დედამიწის ყველა მცხოვრებისთვის წელიწადი სავსებით გარკვეულ დროს გრძელდება, ეგრეთ წოდებული ტროპიკული წელი 365 დღე 48 წუთი და 46 წამი გრძელდება. თუმცა, ათვლის წერტილად შეიძლება ნებისმიერი მომენტი, წუთი და დღე იყოს მიჩნეული და ამდენად სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბევრ ქვეყანაში ახალი წლის მოსვლას ბუნების გაღვიძება-აყვავებას უკავშირებდნენ და მის დადგომას გაზაფხულივით ზეიმობდნენ. XVI-XVII საუკუნეებამდე ევროპაშიც ასე იყო და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ახალი წლის ათვლა 1 იანვრიდან.

ასეა თუ ისე, გაზაფხულზე იქნება ეს თუ ზამთარში, ახალი წელი მთელ მსოფლიოში გამორჩეულ დღესასწაულად ითვლება და მას ყველგან გულის ფანცქალით, სიხარულითა და უკეთესი მომავლის იმედით ელოდებიან დიდებიც და პატარებიც. აღნიშნვით კი, სხვადასხვა ქვეყანაში ამ დღესასწაულს სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ. ჩვენ, ქართველებს, ჩვენი, სხვა ხალხებისგან განსხვავებული საახალწლო ტრადიციები გვაქვს – საგანგებო მისალოცი სიტყვებით, სურვილებით, რიტუალებით, მეკვლით, ჩიჩილაკით, გოზინაყით, ჩურჩხელებით... სხვაგან სხვანაირად ხვდებიან ახალ წელს, მაგალითად: იტალიაში მიაჩნიათ, რომ ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე ადამიანები ყოველივე ძველისგან უნდა გათავისუფლდნენ, ამიტომაც ახალი წლის ღამეს ამ ქვეყნის ქალაქებში, სახლების ფანჯრებიდან ათასნაირი დიდი თუ პატარა ნივთი „მოფრინავს“ – სკამი, უთო, ტელევიზორი, კარადაც კი. ეს – ქალაქებში, იტალიურ სოფლებში კი სწამთ, რომ თუ პირველ იანვარს ადრიანი დილით სახლში წყაროს „ახალ წყალს“ მოიტან, ახალ წელს ბედნიერება დაგეკვებება. იტალიელი ბავშვები კი მოხუცი ფერიის ბეფანას საახალწლო საჩუქრის მოლოდინში 31 დეკემბრის ღამეს ნაძვის ხესთან საკუთარ ფეხსაცმელებს ტოვებენ. პატარა ინგლისელები კი ამავე მიზნით ახალი წლის ღამეს ბუხრებთან წინდებს დებენ.

საბერძნეთში ახალ წელს სტუმარი მასპინძლის სახლის ზღურბლთან მძიმე ქვას დებს და ტრადიციულ სიტყვებს წარმოთქვამს: „დაე, შენი ქონებაც ამ ქვასავით მძიმე იყოს!“ მონღოლეთში ახალ წელს თოვლის პაპასთან ერთად ხვდებიან ნაძვის ხესთან, ოღონდ მონღოლ პაპას მესაქონლის ტანსაცმელი აცვია. ახალი წლის ზეიმზე იმართება ხალხური თამაშობები, სპორტული შეჯიბრებები.

კუბაში ახალ წელს 12 საათზე საათი მხოლოდ თერთმეტჯერ რეკავს, რადგან მიაჩნიათ, რომ ამ დაუღალავ მექანიზმსაც სჭირდება დასვენება.



შუაღამისას კუბელები ფანჯრებიდან წყალს ღვრიან და ნატრობენ, რომ ახალი წელიც ისეთივე წმინდა და სუფთა იყოს, როგორიც ეს წყალია.

ბირმასა და ტაილანდში ახალ წელს 12-17 აპრილს შორის (დღესასწაულის ზუსტ თარიღს კულტურის სამინისტრო სპეციალური ბრძანებულებით აცხადებს), პაპანაქება სიცხის

ეროვნული ბიბლიოთეკა





დროს ხვდებიან. დღესასწაული სამ დღეს გრძელდება. ხალხი ქუჩებში ერთმანეთს წყლით წუწავს.

ბულგარელები საახალწლო დღესასწაულზე რამდენიმე წუთით სინათლეს აქრობენ, რიტუალს საახალწლო კოცნის წუთები ჰქვია და ამ ტკბილ საიდუმლოს მხოლოდ სიბნელეს ანდობენ.

ვიეტნამში ახალი წლის ღამეს მდინარეებსა და გუბურებში ცოცხალ კობრს უშვებენ. გადმოცემით ამ თევზით ღმერთი დაცურავს, რომელიც ახალი წლის ღამეს ზეცაში ადის, რათა იქაურობას აუწყოს თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები დედამიწაზე. ამ დროს ივიწყებენ და მიუტევებენ ერთმანეთს ადრინდელ უსიამოვნებებს, წყენას.

ინდოეთში ამ დღესასწაულს სხვადასხვაგვარად ზეიმობენ. ჩრდილოეთ ინდოეთის მცხოვრებნი თეთრ, ვარდისფერ, წითელ და იისფერ სამოსში ეწყობიან, ცენტრალურის – სახლებს რთავენ ალმებით, უმეტესწილად, ნარინჯისფერით, დასავლეთისა კი – საცხოვრებლების სახურავებზე პატარა ფარნებს ანთებენ. ახალი წლის წინ დედები შვილებისთვის დიდ სინებზე ძღვენს, ტკბილეულს, ყვავილებს ალაგებენ და დილით პატარები თვალდახუჭული მიჰყავთ სინთან საჩუქრის ასარჩევად.

უელსში ახალი წლის შესახვედრად სტუმრად წასვლისას თან ნახშირის ნაჭერი მიაქვთ, რომელსაც საახალწლოდ დანთებულ ბუხარში აგდებენ. ამით სტუმარი მასპინძლისადმი კეთილგანწყობას გამოხატავს. ზუსტად შუა ღამეს საცხოვრებელი სახლის კარებს ფართოდ აღებენ, რათა ძველი წელი გაუშვან და ახალი შემოუშვან.

ნეპალში ახალ წელს მზის ამოსვლისას ხვდებიან. მანამდე კი, ღამე, როდესაც ცაზე სავსე მთვარე ჰკიდია, მოსახლეობა მრავალ დიდ კოცონს ანთებს, რომელშიც ძველ გამოუსადეგარ ნივთებს ყრის. გათენებისთანავე ფერთა ზეიმი იწყება და მთელი ქვეყანა უდიდეს ცისარტყელას ემსგავსება. ნეპალის მეფე და მისი ქვეშევრდომები სახეს, ხელებს, მკერდს უცნაური გამოსახულებებით იმშვენებენ და შემდეგ ქუჩებში მღერიან და ცეკვავენ.

შოტლანდიაში ახალი წლის წინა დღეს ფისით სავსე კასრს ცეცხლს უკიდებენ და ქუჩებში დააგორებენ. ამ რიტუალით ძველ წელს წვავენ და ახალს გზას უხსნიან. თურმე შოტლანდიელი მეკვლეც არსებობს – მათი წარმოდგენით (როგორც ჩვენი) ახალი წლის შემდეგ სახლში შემოსულ პირველ ადამიანს მოაქვს იღბალი ან უიღბლობა.

რუმინელები საახალწლო ნამცხვარში მოულოდნელ ნივთებს – მონეტებს, ფაიფურის პატარა ფიგურებს, ბეჭდებს, წიწაკას (რაც საყოველთაო მხიარულებას იწვევს) პოულობენ.





# მაინც როგორი იყო ტატო?



ლ. გუდიაშვილის ნახატი

არც ამაში ჰქონია ბედი ნიკოლოზ ბარათაშვილს. ჯერ ხომ ნათესავ-მეგობართა დაუდევრობით უკვალოდ მიიფანტ-მოიფანტა პოეტის ყველა დოკუმენტური სურათი, ამას ისიც დაერთო, რომ თბილისელი ფოტოგრაფის, დუბელირის სახელოსნოში გაჩენილ ხანძარს შეეწირა ილიას მიერ აქ პირის გადასაღებად მიტანილი პოეტის დის კუთვნილი ძმის



თ. მომცემლიძის ნახატი

პორტრეტი-დაგეროტიპი. ისე რომ, სამუდამოდ დაკარგული ბარათაშვილის შემოქმედების ნაწილის ხვედრი გაიზიარა მისმა ნამდვილმა გამოსახულებამაც. შეშფოთებული საზოგადოება აქტიურად შეუდგა დიდი პოეტის სურათის ძებნას, გადაისინჯა მისი ნათესავების, მეგობრებისა თუ თაყვანისმცემლების ალბომები, მოიჩხრიკა არქივები. გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა მოწოდება, თუ ვინმეს სადმე გეგულებათ ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათი, გვაცნობეთო. ამაოდ. და მაშინ ერთადერთ სანუგეშო იმედად ჩაებღაუჭნენ – პოეტის განსვენებული მეგობრის, მიხეილ თუმანიშვილის არქივში აღმოჩნდა მის მიერვე ფანქრით შესრულებული მამაკაცის ესკიზური პორტრეტი წარწერით „N.B.“, რომელშიც ბევრმა ნიკოლოზ ბარათაშვილი შეიცნო, თუმცა თუმანიშვილისეულმა ამ დილეტანტურმა ესკიზმა მაინც ვერ ჰპოვა საყოველთაო აღიარება და მისი დოკუმენტური უტყუარობა ბოლომდე საეჭვო დარჩა...

ბარათაშვილის დღეს არსებული ყველა პორტრეტი მისი უახლოესი ნათესავების, დების მიმსგავსებით, მათი და აგრეთვე ნაცნობ-მეგობრების აღწერილობის საფუძველზე შექმნეს მხატვრებმა მოგვიანებით.

პოეტს ძალიან ამსგავსებენ მის დებს, განსაკუთრებით უმცროსს – სოფიო სუმბათაშვილისას. კოტე ყიფიანი იხსენებდა: „პოეტის და სოფიო, როგორც დედაჩემი ამბობდა, ძალიან ჰგავდაო ძმას, ნიკოს, ისე რომ სოფიოს ულვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზე, ვერ გაარჩევდით, ეს მართლა სოფიო არის, თუ ნიკო ბარათაშვილი“.

ტატოს სიყრმის მეგობრის, ლუკა ისარლოშვილის აღწერით, „ბარათაშვილი მოთეთრო სახისა იყო. პირხმელი, შავი ცოცხალის თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. ხშირ-ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი ჰქონდა. მოგრძო თვალები ცხვირისკენ იყო დახრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად არც ულვაშსაცა...“

უფროსი დის, ბარბალე ვეზირიშვილის სიტყვით, „ნიკო ძალიან მალხაზი, მარდი იყო და მიმზიდველი სახისა. შუათანა ტანის, არც გამხდარი, არც მსუქანი, წაბლისფერი ფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები, წარბები შეერთებული; წვერ-ულვაშს იპარსავდა, იცვამდა ევროპიულის სამოქალაქო ტანისამოსს...“

გასული საუკუნის მიწურულს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თხოვნით მხატვარმა ალექსანდრე მრევლიშვილმა მოინახულა ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი ნათესავი ქალი, რათა მისი სახე ჩაეხატა. აი, როგორ იხსენებს ქალბატონი მაყვალა მრევლიშვილი მის მამასთან დაკავშირებულ ამ ეპიზოდს: „ის ხნიერი მანდილოსანი თურმე ძლიერ ჰგავდა ტატოს, მომსწრეთა გადმოცემით (არ ვიცი, სოფიო სუმბათაშვილისა, ტატოს უმცროსი და თუ უფროსი დის ბარბარეს უმცროსი ქალიშვილი ნინო). და მოასწრეს! ჩანახატი ინახებოდა მცხეთაში, მის სახელოსნოში: აკვარელით,




ნახატი მ. თუმანიშვილის არქივიდან

ფანქრით, ტუშით, ზეთით... ძნელი ამოცანა იდო წინ: გენიალური პოეტის შთაგონებული სახე ჭაბუკობისა უნდა შეექმნა ხნიერი მანდილოსნისგან და ვაჟკაცური იერი შეეძინა მისთვის... მაინც ეს ალ. მრევლიშვილის პორტრეტი ითვლება პროტოტიპად, ზედმიწევნით, უტყუარი ნაკვთებით“. ერთგვარად წააგავს



ა. მრევლიშვილის ნახატი

მრევლიშვილისეულ პორტრეტს მ. თოიძეს მიერ შექმნილი პორტრეტი. სულ სხვაგვარად წარმოიდგინეს და წარმოგვიდგინეს გენიალური პოეტის პორტრეტული გამოსახულება ლ. გუდიაშვილმა, ა. გიგოლაშვილმა, თ. მომცემლიძემ.

# მარადიული სახელები

## 17 წლის აკადემიკოსი ანუ კაცი, რომელმაც უძველესი ეგვიპტური იეროგლიფები გაშიფრა

ჟან ფრანსუა შამპოლიონი დაიბადა 1790 წელს საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ფიჟაკში. რამდენიმე წელი აქვე სწავლობდა დაწყებით სკოლაში, 1801 წელს კი ძმამ გრენობლში წაიყვანა და თავს იდო მის აღზრდა-განათლებაზე ზრუნვა. პატარა ფრანსუას ენების შესწავლის საოცარი ნიჭი გამოაჩნდა, ის სულ ადვილად დაეუფლა ლათინურს, ბერძნულს, 13 წლისამ არაბული, სირიული, ქალდეური და კოპტური ენების დაუფლება დაიწყო, მოგვიანებით კი სპარსული, არაბული, სანსკრიტი და ჩინურიც ისწავლა. საოცრად ნიჭიერი ყმაწვილის ამბავი იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის ეგვიპტური ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილის, ცნობილი ფიზიკოსისა და მათემატიკოსის ჟოზეფ ფურიეს ყურსაც მისწვდა. მოგვიანებით ფურიემ, რომელიც დეპარტამენტის პრეფექტი გახლდათ და სკოლების ინსპექტირებას ატარებდა, გაიცნო ფრანსუა შამპოლიონი და მისი აზროვნებითა და ღრმა ცოდნით გაკვირვებლმა თავისთან მიიწვია იგი.

ჭაბუკი ფრანსუა აღტაცებაში მოიყვანა ფურიეს ეგვიპტურმა კოლექციებმა, სწორედ მაშინ აიღო მან პირველად ხელში იეროგლიფებიანი პაპირუსი და აღუთქვა მასპინძელს, რომ აუცილებლად გაშიფრავდა საუკუნეების მანძილზე ამოუხსნელ საიდუმლოდ დარჩენილ იეროგლიფებს. ფურიესთან ნახა შამპონიოლმა როზეტული ქვის ტექსტების ასლიც, რომელიც შემდგომში უძველესი წარწერების ამოცნობის გასაღებად გამოადგა.

ლიცეუმის დამთავრების შემდეგ ფრანსუამ პარიზის კოლეჟ დე ფრანსში, მერე კი აღმოსავლურ ენათა პრაქტიკულ სკოლაში გააგრძელა აღმოსავლეთის ენებისა და კულტურის შესწავლა (ამ დროისთვის ის სრულყოფილად ფლობდა 10 ენას). 1807 წლის ზაფხულში 17 წლის ფრანსუამ შეადგინა უძველეს სამეფოთა ეპოქის ნილოსის ველის გეოგრაფიული რუკა. სექტემბრისთვის კი დაასრულა წიგნი „ეგვიპტე ფარაონების დროს“. ეს ნაშრომი მან სამეცნიერო საზოგადოების სამსჯავროზე წარადგინა. გრენობლის აკადემიის სხდომაზე მის მიერ წაკითხულმა მოხსენებამ ფურორი მოახდინა: საქვეყნოდ აღიარებულმა მხცოვანმა მეცნიერებმა, არასრულწლოვან ჭაბუკს აკადემიკოსის წოდება მიანიჭეს. 1808 წელს შამპონიოლმა ხელი მოჰკიდა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული მეცნიერებაში როზეტის ქვის სახელით ცნობილი სტელის შესწავლას (ეს სტელა 1799 პატარა ქალაქ როზეტის, ამჟამად როშიდის სიახლოვეს იქნა აღმოჩენილი). როზეტის ქვაზე ამოკვეთილი დოკუმენტი სამ ვარიანტად არის წარმოდგენილი: ეგვიპტური ფრაგმენტი შესრულებულია იეროგლიფებითა და ანბანურ-იდეოგრაფიული დამწერლობით, ამასთან იყო პარალელური ბერძნული ტექსტიც. ეს უკანასკნელი გასაგები იყო და ადვილად იკითხებოდა, სამაგიეროდ გამოცანად რჩებოდა ორივე ეგვიპტური ნაწყვეტი. შამპოლიონმა ერთი მეორის მიყოლებით სამი გენიალური ჰიპოთეზა წამოაყენა. მისი აზრით, კოპტური ენა ეგვიპტური ენის განვითარების ბოლო სტადიას წარმოადგენს. გარდა ამისა, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ იეროგლიფები ისე უნდა წაიკითხოს, როგორც იდეოგრამები (კოდირებული იდეები) და როგორც ფონეტიკური სიმბოლოები (ბგერებისა და მარცვლების აღნიშვნა) და კიდევ – შამპონიოლმა წამოაყენა იდეა, რომ გა-



ეროვნული ბიბლიოთეკა




ნსაკუთრებულ ოვალურ ჩარჩოებში (კარტუშებში) მოქცეული იეროგლიფები ფარაონთა სახელებს აღნიშნავენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამივე ეს ვარაუდი შამპონიოლამდეც იყო გამოთქმული, გენიალური ფრანგი ენათმეცნიერის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან სამივე იდეა გაaერთიანა და ხორციც შეასხა მათ. შამპოლიონი, იცოდა რა, რომ ძველბერძნულად თარგმნილი წარწერა ფარაონის სახელს შეიცავდა, მიჰყვა თავის ვარაუდს, რომ თითოეული იეროგლიფი ანბანის რომელიმე ასოს შეესატყვისებოდა და გაშიფრა იეროგლიფები, რომლებითაც აღნიშნული იყო სახელი Ptolmys – პტოლემე. მოგვიანებით, როცა 1821 წელს შესაძლებელი გახდა კლეოპატრას სახელის ამოკითხვა ლონდონის ობელისკზე, შამპოლიონმა შეადარა კლეოპატრას და პტოლემეს სახელების დაწერილობა: 2,4,5 ნიშნები კლეოპატრას სახელებში დაემთხვა 4,3,1 ნიშნებს პტოლემეს სახელში. ასე გახდა ცნობილი პირველი 12 იეროგლიფის მნიშვნელობა. შამპონიოლმა ამ მეთოდით ამოიკითხა სხვა იეროგლიფებიც, გაშიფრა აბუ სიმბელის გრანდიოზული ტაძრის წარწერებში მოცემული სახელები, 1822 წელს კი მან გამოაქვეყნა „წერილი მ. დასისადმი“, რომელშიც წარმოადგინა თავისი მეთოდის საფუძველი და პირველი შედეგები“. 1824 წელს გამოვიდა ფრანსუა შამპონიოლის წიგნი „იეროგლიფური დამწერლობის სისტემის მოკლე ნარკვევი“. ამას მოჰყვა ევროპის სხვადასხვა მუზეუმში თავმოყრილი ძველეგვიპტური ტე-



ქსტების ბრწყინვალე გაშიფრვა. მეფე შარლ V-ის და ტოსკანის დიდი ჰერცოგის ლეოპოლდ II-ის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით 1828 წელს შამპონიოლმა თავის ასისტენტთან და მოწაფესთან იპოლიტ როზელინისთან ერთად მოაწყო ექსპედიცია ეგვიპტეში. ეს მოგზაურობა მეტად წარმატებული და ნაყოფიერი აღმოჩნდა – ერთ აღმოჩენას მეორე მოჰყვა. ამეტყველდა უამრავი ძველი ეგვიპტური წარწერა, რომელმაც გარდასული ეპოქების შესახებ უამბო მსოფლიოს, ევროპელებს კი აგრძნობინა, თუ რაოდენ ახალგაზრდა და გამოუცდელია ევროპა იმ დიად უძველეს ცივილიზაციებთან შედარებით, რომელთა საიდუმლოებებს ჟან ფრანსუა შამპონიოლის გენიამ ახადა ფარდა. ბრწყინვალე ფრანგი ეგვიპტოლოგი 1832 წელს სულ ახალგაზრდა, 42 წლისა გარდაიცვალა.

## დიდუბის პანთეონში



სალომე ჯანელიძე, 12 წლის

დიდუბის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონი. ზოგი დიდებული საფლავი, ზოგიც პატარა, სადა. ზოგი მარმარილოიან-დაფიანი. ზოგიც უდაფო. შესასვლელთან, მარჯვნივ მურმან ლებანიძე და ფიქრია. საფლავი უმარმარილოდ, უდაფოდ, უწარწეროდ. ეკლესიის წინ ნაყიდ ყვავილებს საფლავზე ვაწყობ. ფიქრები წარსულზე, ცრემლები, სევდა...

სასაფლაოს განაპირას სკამი, სიწყნარე ამაღლებული, უსასოო.

დედაჩემს ვეკითხები.

მპასუხობს – ერის წინაშე დამსახურებისათვის კრძალავენ აქ და... და...

– მთაწმინდაზე რატომ არა?

მთაწმინდა გენიოსებისააო, თუმცა ხანდახან ეშლებათ ვის სად უფრო შეეფერებაო და მიყვება ნიკოლოზ ბარათაშვილის საოცარ მოგზაურობაზე სიკვდილის შემდგომ. ყელში რაღაც მომებჯინა და ვგრძნობ – ავღრიალდები.

– წავიდეთ, რა დედა!

ის კი ისევ ისე აგრძელებს, მთაწმინდისა და გენიოსების შესახებ. ვიცი, საითაც უმიზნებს – ახლავე უნდა მთაწმინდაზე გავინაღდო საფლავი. ამისთვის კი სიკვდილია საჭირო. აბა, ცოცხალი გენიოსი საქართველოში ვის უნახავს?! ცოცხალს – ალმაცერი მზერა და მხოლოდ ეკლები. მკვდარს კი – დიდება და ვარდები. მე კი გენიოსობას სიცოცხლე მირჩევნია, თუნდაც მშიერი...

აღარ მინდა სიკვდილზე ფიქრი. უქმად ჯდომასაც ველარ ვიტან. გავიარ-გამოვიარე. ერთი ბიჭი დავინახე. გავიფიქრე, ჩემსავით „მოწყენილი გენიოსია-მეთქი“ და მივუახლოვდი. სახტად დავრჩი. ბიჭმა ქურდულად მიიხედ-მოიხედა, მე სათვალავში არ ჩამაგდო და საფლავიდან ყვავილები აიღო.

გამოვეკიდე:

– ეეე, ბიჭო, სად მიგაქვს?

– რა შენი საქმეა!

– მე მოვიტანე!

– მკვდარს რა ჩემ ფეხებად უნდაო, – დაცინეით.

– თავი დაანებე, წაიღოსო, – დედაჩემმა. ხმა გატეხილი ჰქონდა.

გამიკვირდა.

ცოცხალი მადლიანი იყო და მკვდარსაც შეეწიოსო.

მერე გავიგე სასაფლაოს ყვავილების ბიზნესის შესახებ: საფლავზე მიტანილ ყვავილებს იპარავენ და ხელახლა ჰყიდიან. ხომ შეიძლება მკვდრის ყვავილები დაბადების დღეზე მოხვდეს? – არ მასვენებს კითხვა და მინდა, ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც მიცვალებულები არ არჩენენ ცოცხლებს.

* * *

სატურნი, ვენერა, მარსი –
საპლანეტთაშორისო ფაქსი...
მიწაზე ვაისმის ბრამსი –
სი, სი, დო, სი... სირიუსი...
გენეტიკური მეხსიერება?!
რა იმალება მასში?
კაშკაშებს ვარსკვლავი ცაში,
დედამიწა კი ველარ ეტევა ვარსში –
უნდა გაიგოს თავისი არსი!

* * *

მომენატრა ყვავილების თოვა,
მოვა გაზაფხული, მოვა,
წავა ზამთარი, მკაცრი, ქვაწვია
და ამღერდება გული ჰაწია.
აცისკროვნდება მთებზე აისი,
მერე მოგვაფრქვევს ვარდებს მაისი.
მზეზე იმღერებს ქარი, თავნება
და ჩემი ლექსიც ალმის
ყვავილს დაემსგავსება!

## მზე ბახმაროში



**ნინო ხომერიკი, თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, VI კლასი**

რამდენიმე წლის წინ ბახმაროში ვისვენებდით. საღამოს ბავშვები კოცონთან ვიკრიბებოდით, ვმღეროდით, სპექტაკლებს ვაწყობდით. იქ ყოფნა ძალიან მომწონდა,ირგვლივ ტყეები, მთები და ლამაზი ბუნება იყო, მაგრამ ყველა ამბობდა, რომ ბახმაროში მზის ჩასვლა ულამაზესი სანახაობა იყო. თითქმის ყოველდღე მრავალი მნახველი ადიოდა მთაზე.

მე და ჩემმა მეგობრებმაც გადავწყვიტეთ მზის ჩასვლა გვენახა. ეს მშობლების დაუკითხავად უნდა გაგვეკეთებინა, რადგან ვიცოდით, რომ შორს არ გაგვიშვებდნენ და ვუთხარით, რომ ახლოს კოცონისათვის ფიჩხს მოვაგროვებდით. დაგვეთანხმნენ, მაგრამ გაგვაფრთხილეს, სწრაფად უკან უნდა დაბრუნდეთ, რადგან მალე შებინდდებაო.

ჩვენში ყველაზე დიდი, მარიკა, მეექვსეკლასელი იყო და ყველანი ვენდობოდით, გზაც მან იცოდა და წავედით. ლამაზმა ბუნებამ ისე გაგვიტაცა, რომ ვერ ვიგრძენით, როგორ დავშორდით სახლს, წყალი გაგვითავდა, გვწყუროდა, მაგრამ უნდა გაგვეძლო. სასურველ ადგილს მივაღწიეთ, დავინახეთ სწორი ადგილი სადაც ძროხები იყვნენ, იქიდან გადავიხედეთ და დავინახეთ აჭარლების პატარა, უცხო სოფელი. მზე მთის იქით იმალებოდა. მზის ჩასვლა მართლაც ისეთი თვალწარმტაცი იყო, რომ ეს ყველამ უნდა ნახოს; მაგრამ მზე ჩავიდა თუ არა, დაბინდდა, აქამდე არც მგლები და არც ის „ბავშვიპარია“ აჭარლები გაგვხსენებია, რომლებითაც უფროსები გვაშინებდნენ, ღამ-ღამობით ტყეში დადიან და ბავშვებს იტაცებენო.

უკან დაბრუნება გვინდოდა, მაგრამ მარიკას არ ახსოვდა, რომელი გზით აგვიყვანა. აქ ორი ბილიკი იყო.

– რატომ წამოვედი დაუკითხავად? ვუსაყვედურე ჩემს თავს.

შევშინდით, ბავშვი ამ შიშს ვერ იგრძნობს, სანამ თვითონ არ გამოსცდის, რომ მშობლის დაუკითხავად არსად არ უნდა წავიდეს. მარიკამ ისიც დაგვიმატა, აქ ღამე ნისლი წვება და ველარაფერს დავინახავთო. უცბად დავინახეთ მხარზე ჯოხგადებული აჭარელი, რომელსაც ჯოხის ბოლოში ტომარა ჰქონდა ჩამოკიდებული.

– ვაი, ბავშვიპარია აჭარელი! – შეშინდა ყველაზე პატარა თამუნა და მომეკრა.

კაცი ნელი ნაბიჯით მოგვიახლოვდა, შეჩერდა და გვკითხა:

– რას დაეძებთ, ვისთან ხართ?

– მზის ჩასვლის სანახავად ამოვედით, გზა აგვებნა და უკან ვერ ვბრუნდებით, – მიუგო მარიკამ.

აჭარელმა მაწვნის ცარიელი ქილებით სავსე ტომარა ძირს დადო და გვითხრა გავყოლოდით. დიდი მანძილი გამოგვატარა, ისევ ორი ბილიკი შეგვხვდა, ერთ ბილიკზე დაგვაყენა – ამ ბილიკს გაჰყევით და სახლში ჩახვალთ, – გვითხრა და უკან გაბრუნდა. შიშისგან არც სახელი გვიკითხავს იმ კაცისთვის და არც მადლობა გადაგვიხდია. სირბილით დავეშვით.

გზაზე ყვირილის ხმა შემოგვესმა: ნინა, ნინაა!... მე გამოვეხმაურე, ჩემი 14 წლის ძმა, გივიკო და 7 წლის ბიძაშვილი ლევანიკო ჩვენ საძებნელად წამოსულიყვნენ, დიდი ჯოხებით. გახარებულები ერთი წლის უნახავებივით გადავეხვიეთ. სახლებს რომ მივუახლოვდით, ბებიამ თამუნა დატუქსა: – მზის სანახავად, ტყე-ტყე რომ არ გეხეტიალათ და მთაზე არ გებოტიალათ, აქ ვერ უყურებდით მზეს, აქაც ის მზე არისო. გულშეწუხებულმა დედამ კი გულში ჩაიკრა თამუნა.

ბებიაჩემმაც ყვირილი დამიწყო, დაუკითხავად როგორ წახვედი, წნევა ამიწიეო. მე თავის გამართლება ვცადე: ნორა ბებია, რომ იცოდე იქ ყველაფერი რა ლამაზია, თვითონაც წამოხვიდოდი, უფრო გაბრაზდა, ბებია მასწავლებელია და დამნაშავე ბავშვებს მკაცრად სჯის ხოლმე. ტირილი დავიწყე, დედიკოს შევეხვეწე: შენ ხომ ექიმი ხარ, წნევა დაუწიე, რომ დაწყნარდეს-მეთქი.

დედიკომ ცალკე გამიყვანა და კიდევ წახვალ დაუკითხავადო? არა-მეთქი, – შევფიცე.

კალთაში ჩამისვა, ცრემლები შემიმშრალა და მითხრა:

– მგლებს რომ შეეჭამეთ, მე რა მეშველებოდაო?

– არა, დედიკო, იქ არც მგლებია და არც „ბავშვიპარია“ აჭარლები, სწორედ აჭარელმა გამოგვაცილა სწორ გზამდე, ამას მეზობლები ტყუილად ამბობენ ბავშვების შესაშინებლად.

– გინდა ერთად შევხვდეთ მზის ამოსვლას, ეს უფრო ლამაზია?! – შემომთავაზა დედიკომ.

დაღლილი ვიყავი და მალე ჩამეძინა. დილით გამეღვიძა და დედიკოს დავუძახე: – წავიდეთ მზის შესახვედრად!

– მზე გელოდება და რომ არ მიხვედი, თვითონ მოვიდა შენთან! – დედამ ფარდა გადაწია და ოთახი მზის სხივებით აივსო. დედიკოს ვკოცე, ყელზე მოვეხვიე და ვთხოვე: – ხვალ დილას უსათუოდ გამაღვიძე და ერთად შევხვდეთ მზის ამოსვლას!

ნაკადული



# არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე?

### ნუთუ მარტონი ვართ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ტელესკოპები აკვირდებიან და სწავლობენ ვარსკვლავებს, რობოტები იღებენ მარსის გრუნტის სინჯებს. წელს მარსის შესწავლას შეუდგა ორი რობოტი – მარსმავალი „სპირიტი" და „ოპორტიუნიტი". მაინც რისთვის გაუშვა ამერიკის კოსმოსურმა სააგენტომ (ნასამ) ეს რობოტები დედამიწიდან 59 მილიონი კილომეტრით დაშორებულ მარსზე. რას ეძებენ ისინი?

„წყლის კვალს", – ასე გვიხსნის ნასას თანამშრომელი დევიდ დე მერაია. წყლის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია, და მეცნიერებიც სწორედ მის პოვნას ცდილობენ. „ოდესღაც მარსის ჰავა უფრო თბილი და ნესტიანი იყო, – ამბობს დე მერაია – შეიძლებოდა აქ სასიცოცხლოდ ვარგისი პირობები ყოფილიყო".

### მარსელებო, გამოგვეხმაურეთ!

„ოპორტიუნიტიმ" მარსზე დაჯდომის ადგილის სიახლოვეს არსებული ქვები და გრუნტი შეისწავლა და აღმოაჩინა მარილები და მინერალები, რომელთა წარმოქმნა მხოლოდ ნესტიან ადგილზე იყო შესაძლებელი. ეს კი იმის სერიოზული მტკიცებულებაა, რომ მარსზე ოდესღაც წყალი ხმაურობდა. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი თუ წითელ პლანეტაზე სიცოცხლე აღმოჩნდება, ეს, ცხადია, ის ლაზერულ ბლასტერებიანი მწვანე კაცუნები არ იქნებიან, რომლებიც შენ მულტფილმებსა და კომიქსებში გინახავს. თუ მარსზე ცოცხალი რამ აღმოჩნდება, ეს უმალ მიკროორგანიზმები იქნება.

თუმცა ზოგი მეცნიერისთვის ასეთი პრიმიტიული უცხოპლანეტელების აღმოჩენა არ კმარა. არადედამიწისეული გონების ძიების ინსტიტუტის (სეტი) თანამშრომლები (ეს ინსტიტუტი კალიფორნიაშია) ინტელექტის მქონე არსებებს ეძებენ.

### გონებისმიერი ძმები

სეტის ხელმძღვანელს ჯილ ტარტერს რადიოტელესკოპი შორეული ვარსკვლავებისკენ აქვს მიმართული და უსმენს. „მე ვიჭერ რადიოსიგნალებს, რომლებიც არადედამიწისეულ ცივილიზაციაზე მეტყველებს", – ამბობს ქალბატონი ჯილი. დედამიწა ყოველდღიურად მილიარდობით ასეთ სიგნალს აგზავნის კოსმოსში – მათ რადიო და ტელესადგურები, თანამგზავრული ტელეფონები და სხვა ელექტრომოწყობილობები გამოსცემს. წარმოიდგინე: დედამიწისეული ჰიტ-სიმღერები კოსმოსში მიჰქრის და უცხოპლანეტელი მსმენელები საცეცების რხევით ყვებიან მათ ტაქტს!

სეტი სწორედ იმ ანალოგიური სიგნალების დაფიქსირებას ცდილობს, რომლებიც კოსმოსიდან მოდის. თუ მათი დაჭერა მართლაც მოხერხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობენ უცხოპლანეტელები, რომლებიც ძალზე რთულ მანქანებს ქმნიან და რომლებსაც მუსიკის მოსმენა უყვართ. და მაშასადამე, ჩვენ მარტონი არ ვყოფილვართ სამყაროში!

ეს ჯერჯერობით არ მომხდარა, მაგრამ დღემდე ხომ იმ 400 მილიარდი ვარსკვლავიდან, რომლებიც ჩვენს გალაქტიკას შეადგენენ, მარტო რამდენიმე ასეულია შესწავლილი. „ამას ბევრი დრო დასჭირდება, – ამბობს ჯილ ტარტერი, – იმედი მაქვს, რომ თავის დროზე მე ამ ჟურნალის რომელიმე მკითხველი შემცვლის".

ჟურნალიდან **National Geographic**







საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ვამბობთ ასე?

**ნაბადზე გადახტომა** – სიმარჯვე, სწრაფი მოძრაობა. ძველად, როცა უნდოდათ მანძილზე გადახტომაში ერთიმეორის სიმარჯვე გამოეცადათ, გადასახტომ მანძილზე ნაბადს გაშლიდნენ და ერთმანეთს გაეჯიბრებოდნენ. ზოგი, ვინც უფრო მარჯვე იყო, სამ ნაბადზე, ანუ სამჯერ ერთი ნაბადის ტოლა მანძილზე ხტებოდა. (წვერებით ერთი მეორეზე მიდებული სამი ნაბადი კი 7 მეტრს მაინც უდრის).

**ვისი ტიკი-ტომარა ხარ?!** – ვისთვის ან რისთვის ვარგიხარ? სხვის საქმეში ნუ ეჩრები! ტიკი და ტომარა წინათ მეტად საჭირო ნივთებ-ჭურჭლად ითვლებოდა, მეტადრე მგზავრობის დროს. ამიტომ გასაგებია მათი ხსენება ამ ყვედრებაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვინმე მეტიჩრობს და იქ ერევა, სადაც არა ჰკითხავენ და სადაც მას არაფერი ესაქმება.

**ვის რა გველი შევუწვი?!** – ვის რა დავუშავე, ვის რა ცუდი საქმე ვუყავი? ქართველებისთვის გველი საჭმელად აკრძალულ ცხოველებს ეკუთვნის. ვინმეს რომ მოტყუებით ვინმესთვის გველი შეეწვა და საჭმელად შეეპარებინა, საშინელ დანაშაულში ჩაეთვლებოდა.

**ზედაშე** – ღვინო, წმინდა სასმელი. ძველად, ღვინობისთვეში, როცა ღვინოს წურავდნენ, პირველად უნდა აევსოთ პატარა ქოცოები სხვადასხვა წმინდანის და სალოცავის სახელობაზე. ამ წმინდანებისა და სალოცავების დღეობაზე ქოცოს თავს მოხდიდნენ, ღვინის ნაწილს ეკლესიაში წაიღებდნენ ზიარებისთვის – საზედაშედ, დანარჩენს კი თვითონ სვამდნენ ოჯახში. ზედაშე ერქვა ეკლესიაში ზიარებისთვის სახმარებელ ღვინოსაც.

**სახეზე ზეთი ჩამოსდის** – სულ დაღვრემილია, მოღუშულია, არასაამო გამომეტყველება აქვს.

**ზემო თაროზე მოწყობა, დაბინავება** – გაშინაურება, სხვისას თავის ისე გრძნობა, როგორც საკუთარ სახლში, საჩინო ადგილას თავის ამოყოფა. ქართველი გლეხის ოჯახში თარო ყოველთვის იყო ჯამჭურჭლის დასაბინავებელი, საჩინო და მოწიწებით მოსაპყრობი ადგილი. ჭურჭლის გარდა აქვე ინახებოდა იჯრას გადარჩენილი სასმელ-საჭმელიც. ზემო თაროზე დაბინავება კი ხატოვნად სახლის პატრონად, სახლში უფროსად და განკარგულების გამცემად თავის აღიარებას ნიშნავს.

**თაგვები სოროში შეათრევენ** – ძალზე უძლური, ბეჩავი, სუსტი, დალეული. ითქმის ფიზიკურად დალეულ, ხასიათით სუსტ, უნებისყოფო ადამიანზე, რომელსაც არ ძალუძს გაჭირვებისთვის გამკლავება, ვისაც ყველა თავზე კაკალს ამტვრევს, ჩაგრავს და აბუჩად იგდებს.

**თავზე კაკლის მტვრევა** – არაფრად მიჩნევა, აბუჩად აგდება, დაჩაგვრა, დამცირება. ვისიმე თავზე კაკლის მტვრევა ნიშნავს, უფრო ძლიერის მიერ მორჩილის აბუჩად აგდებას, მის კაცად ჩაუთვლელობას.

**თავზე მამალ ბუზს არ ისვამს** – მეტად ამაყია, უკადრისია, ქედმაღალია, არავისი ეშინია. იგულისხმება, რომ მამალი ბუზი დედალ ბუზზე უფრო კადნიერი და გამბედავია, მაგრამ ისიც კი ვერ ბედავს თავზე დააჯდეს იმას, ვის შესახებაც ლაპარაკია და ვისი უკრძალველობა და სიამაყე ყველასათვის ცნობილია.

**ლელვია** – ზლაზნია, უშნო, დონდლო, გაუბედავი, უგერგილო. ლელვის მწიფე ნაყოფი სხვა ხილთან შედარებით მეტად რბილია, ხელში ჭერისას ყოველგვარ ფორმას ღებულობს იმისდა მიხედვით, თუ რანაირ მდებარეობაშია თითებს შორის. თავად ლელვის ხეც, არც მასალად ვარგა და არც შეშად.

# სიტყვის კონა



**აბრამიანი** – შაქრითა და თაფლით შეზავებული ღვინის ბოღლიწო. საახალწლო „დასაბერებელი“ (ძველად ტკბილეული).

**დაკვეზება** – ჩვეულებად გადაქცევა მთელი წლის განმავლობაში (რაც ახალ წელს შეემთხვევა).

**ტკბილად დაბერება** – ახალი წლის მილოცვისას ტკბილეულით გამასპინძლება და დალოცვა: „აგრე ტკბილად დამიბერდი“, „ასე ტკბილად დაგაბეროს“.

**მეკვლე** – ვინც ოჯახს პირველი უკვლევს, პირველი ულოცავს ახალი წლის დადგომას.

**ჩიჩილაკი** – ტკბილეულითა და ხილით მორთული ჯოხი ბურბუშელასებრი ანათალებით, გავრცელებულია საახალწლოდ საქართველოს ზოგ კუთხეში.

**გოზინაყი** – თაფლში მოხარშული წვრილად დაჭრილი ნიგოზი, ნუში ან თხილი.

**ალვახაზი** – ნადუღი თაფლისგან გაკეთებული საახალწლო ტკბილეული.

# საახალწლო

მუსიკა ოთარ დიხამინჯიასი

ტექსტი ანდრო თევზაძის




მშვიდობით, მშვიდობით,
დღეებო ძველო,
მობრძანდი, მობრძანდი,
ახალო წელო.
ლამაზო, გულუხვო,
დარბაისელო,
მეც მინდა სამშობლო,
რომ ვასახელო.
მშვიდობით, მშვიდობით,
დღეებო ძველო,
მობრძანდი, მობრძანდი,
ახალო წელო.

## რას ვინატრებდი საახალწლოდ და...

მე თოვლის ბაბუის არ მჯერა და ძნელია საახალწლოდ რამე ვინატრო, მაგრამ მაინც ვინატრებდი ახალ წელს დიდი ოპერისა და ბალეტის სცენაზე დავმდგარიყავი და რომელიმე სპექტაკლში მიმეღო მონაწილეობა. თუმცა, ეს ყველა-



ფერი ჩემთვის ჯერ ადრეა და უბრალოდ, ჩემი ოცნებაა, მაგრამ ოდესღაც ოცნება რომ შემისრულდება, თოვლის ბაბუის არა, მაგრამ ღმერთის მადლობელი ნამდვილად ვიქნები. მე დიდი ოპერისა და ბალეტის სცენაზე რომც დავდგე, ეს 2005 წელს არ მოხდება, რადგან ჯერ პატარა ვარ.

**მარიამ ქურდაძე, 10 წლის.**

მიყვარს ძალიან ახალი წლის ღამე. აი, ახლა ჩავიფიქრებ სურვილს და აუცილებლად ამიხდება. რას ვინატრებდი? განა ბევრი რამ მინდა: – ნეტავ ყველანი ჯანმრთელები ვიყოთ. სიკეთე



და სიხარული, ხვავი და ბარაქა, ბედნიერი ბავშვების სიცილ-კისკისი ავსებდეს საქართველოს! დაე, ყველა დედა იღიმებოდეს!

**სოფო გუმბარიძე, 9 წლის.**

# ვინ, რა? როგორ? რატომ? სად? როდის? რამდენი?

## რატომ გვწვავს წიწაკა პირს?



წითელი ცხარე წიწაკა შეიცავს ნივთიერება კაფსაიცინს, რომელიც სამწვერა ნერვის რეცეპტორების მგრძნობიარე სისტემას ასტიმულირებს. სამწვერა ნერვი სახეზე მდებარე ყველა ორგანოს მგრძნობიარობაზე აგებს პასუხს, ამასთანავე ის არეგულირებს იმ ნერვულ დაბოლოებებს, რომლებიც დაკავშირებულია პირში, ცხვირში და თვალებში ტკივილის, ტემპერატურის და შეხების შეგრძნებებთან. ლორწოვან გარსთან კაფსაიცინის უმცირესი დოზის შეხებაც კი ზემოქმედებს ენაზე არსებულ ნერვულ დაბოლოებებზე, ე.წ. C ბოჭკოებზე, რომლებიც რეაგირებენ ტემპერატურაზე ან მექანიკურ და ქიმიურ გამღიზიანებლებზე. პირში წვა მხოლოდ მას შემდეგ წყდება, რაც მწარე წიწაკა აღწევს საყლაპავ მილს, სადაც ბევრად ნაკლებია C ბოჭკოებია. უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად სიცხარისა, კაფსაიცინი სასარგებლოა, რადგანაც ასტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას და აუმჯობესებს მადას.

## რატომ ყივის მამალი?

გარეული მამლები, როგორც საკულტო ფრინველები, ჯერ კიდევ ძველ ინდოეთში მოაშინაურეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II ათასწლეულებში. სწორედ ახალი დღის გათენების მაუწყებელი ყივილის გამო გახდა მამალი შინაური ფრინველი.

ბუნებაში ფრინველთა ყოველ ჯგუფს თავისი განსაზღვრული მონაკვეთი უკავია, სადაც ისინი საკვებს შოულობენ, მრავლდებიან და რომელსაც ისინი თავგამოდებით იცავენ სხვა თანამოძმეებისაგან. მაგრამ საკუთარი სამფლობელოს დასაცავად გამართული მამრების



ბრძოლები, ამ ბრძოლებში მიღებული ჭრილობები და მით უმეტეს სიკვდილი საზიანოა პოპულაციისა და მთლიანად სახეობისთვის. ამიტომაც ბუნებამ დაადგინა, რომ რათა თავისი ყოყლოჩინობით ცნობილმა მამლებმა შეძლებისდაგვარად უსისხლოდ შეძლონ თავისი ტერიტორიის მოპოვება, ათვისება და დაცვა, თანამოძმეები ხმამაღალი ყივილით უნდა დააფრთხონ. მამალი ყივის იმისთვის, რათა აჩვენოს, რომ „აქ ის არის მთავარი" და რათა არც ერთ მეზობელ თანამოძმეებს ეჭვის ნატამალიც კი არ დარჩეს, რომ თავის მამულშიც და ჰარამხანაშიც სწორედ ის არის ბატონ-პატრონი.

## ტვინს ღიტინის არ ეშინია

ალბათ გიცდიათ, საკუთარი თავისთვის შეგეღუტუნებინათ, მაგრამ ამაოდ – ამას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, მაშინ როცა სხვისი ხელით შეღუტინება სიცილს იწვევს თქვენში და ადგილზე გახტუნავებთ. რატომ ხდება ასე?

ლონდონის სამედიცინო კოლეჯის მეცნიერებმა დაადგინეს, რატომ არ შეუძლია ადამიანს თვითონ შეუღუტუნოს საკუთარ თავს. თურმე ტვინმა წინასწარ იცის, რა არის მოსალოდნელი და არავითარ ყურადღებას არ აქცევს კანის ზედაპირიდან შემოსულ სიგნალებს. ხოლო როდესაც სხვა ვინმე შეგუღუტუნებთ, ტვინისთვის ეს მოულოდნელია და ის ვერ ასწრებს კანის მიერ გაგზავნილი სიგნალების ჩახშობას.





# სუთკუნჭულას გვერდი

## როგორ ხვდებიან ახალ წელს ტყეში

მზია მექერიშვილი

ზღაპარი

სანამ თოვლის პაპა ჩვენამდე მოვა, უდრანი ტყე უნდა გამოიაროს. ერთ წელიწადს მეტად მკაცრი ზამთარი იყო. ცხოველები და ფრინველები სოროებში, ბუნაგებში და ფუღუროებში შემალულიყვნენ და გარეთ ცხვირსა თუ ნისკარტს ვერ ჰყოფდნენ. ამ დროს ტყეში თოვლის პაპის მარხილი შემოსრიალდა.

– ო, რა საშინელი ყინვაა! – თქვა გაოცებულმა თოვლის პაპამ. – სულიერის ჭაჭანება არ არის, არავინ მეგებება. – მან სამჯერ შემოჰკრა ტაში და უცებ დათბა. ხეებმა სითბო იგრძნეს, ტანი შეარხიეს და ყინული ჩამოიბერტყეს. ტყის შუაგულში ლამაზად მორთული ნაძვის ხე აელვარდა.

– ჰე, ჰე, ჰეი! ტყის ბინადარნო, ნუღარ შეგეშინდებათ ყინვის, გამოდით გარეთ! ახალი წელია, ახალი წელი! ჰე, ჰე, ჰეი!!!

ჯერ ფრინველებმა შეიფრთხიალეს, მერე ციყვებმა და კურდღლებმა გამოყვეს თავები, ყველაზე ბოლოს დათუნია ბურდღუნია გამოძვრა ბუნაგიდან. თვალები მოიფშვნიტეს და აჟივლდნენ, აწრიპინდნენ, აბუხუნდნენ:

– თოვლის პაპა მოსულა! თოვლის პაპა მოსულა! ახალი წელია, ახალი წელი!

თოვლის პაპამ ულვაშებში ჩაიღიმა.

– გილოცავთ ახალ წელს, ჩემო ყურცქვიტებო, კუდბუთქუნებო, ბაჯბაჯებო, სკუპიებო, მომღერლებო!.. ყოველივეს კარგს გისურვებთ!

უცებ აბუზული კურდღელი დაინახა და ჰკითხა:

– რა გაგჭირვებია, ჩემო პატარავ?

– სიცივეზე კბილი ამტკივდა და ვერაფრით დავიამე, – ამოიკვნესა კურდღელმა, რომელსაც თოვლივით ქათქათა ბეწვი ჰქონდა და რომ არა წითელი თვალები, ვერავინ შეამჩნევდა.

– აი ეს წამალი დალეჭე და ტკივილიც გაქრება, – პაწია აბი გაუწოდა თოვლის პაპამ. – ესეც შენი სტაფილო და კომბოსტო, გაზაფხულამდე გეყოფა.

– დიდი მადლობა! – გული აუჩუყდა ყურცქვიტას და ერთი-ორი კურცხალიც გადმოუვარდა. დალეჭა თუ არა წამალი, კბილი დაუამდა და უზომოდ გახარებულმა კუჭიბრუნიც გააკეთა.

– თქვენ, ჩიორებო, კი იცინით, მაგრამ, გატყობთ, დარდიანები ხართ, – ახლა ჩიტებს მიუბრუნდა თოვლის პაპა.

– ერთი კვირის წინ საშინელი ქარი ამოვარდა და ხეებს რაც კი რამ შემორჩენოდა, თოვლში ჩააბნია. თოვლი კარგა ხანს არ გადნება, შიმშილით დავიხოცებით! – აწუწუნდნენ ისინი.

– ნუ დარდობთ, ჩემო კარგებო! აი თქვენ, სათითაო პარკი საკენკი.

– გმადლობთ, კეთილო თოვლის პაპა! – აჟივლდნენ გახარებული ფრთოსნები.

თოვლის პაპა ახლა დათვთან მივიდა, რომელიც ჯერ ისევ თვალებს იფშვნეტდა და ამთქნარებდა.

– დათუნია ბურდღუნია, ვიცი, რომ თუ თაფლს არ გალოკავ, არას დიდებით არ დაგეძინება. აჰა, შენ ერთი ქილა თაფლი, გემრიელად მიირთვი!

– გმადლობ, გმადლობ! – ჩაიბურდღუნა დათვმა და თვალები აუციმციმდა.

საჩუქარი ტყის ყველა ბინადარს შეხვდა. გახარებულებმა ნაძვის ხის გარშემო იცეკვეს, იმღერეს, შემდეგ კი დიდხანს უქნევდნენ თათებს თუ ფრთებს ჩვენკენ მომავალ თოვლის პაპას და კეთილ მგზავრობას უსურვებდნენ.



# უნდა გაგაოცოთ

## 27 კილოგრამიანი ცხვრის ქურქი

ათი წლის მერინოსის ჯიშის ცხვარმა შრეკმა თავისი საუცხოო ქურქით მთელ ახალ ზელანდიაში გაითქვა სახელი. შრეკი 6 წელი არ გაუპარსავთ. მაშინ, როცა მის თანამოძმეებს ყოველწლიურად პარსავდნენ, ეს ვაჟბატონი არხეინად ბალახობდა საძოვარზე. ცხვრის პატრონი ირწმუნება, რომ შრეკი თვითონ გაურბოდა და შეგნებულად ემალებოდა მპარსავებს, მაგრამ ბოლოს 'და ბოლოს მისი რიგიც დადგა. შრეკის გაპარსვა ნამდვილ შოუდ იქცა და ეს პროცესი ახალი ზელანდიის ეროვნული ტელევიზიის პირდაპირ ეთერშიც გადაიცა. რადგანაც მერინოსის ჯიშის ცხვარს საერთოდ ძალიან წმინდა მატყლი და ნაზი კანი აქვს, უჩვეულო „პაციენტის" გაპარსვა ქვეყნის 2 საუკეთესო მპარსველს მიანდეს. „ქურქი", რომელიც შრეკს გახადეს, 27 კილოგრამს იწონიდა, მაშინ როცა რეგულარული პარსვისას ცხვარი, როგორც წესი, 5 კილოგრამ მატყლს იძლევა.





## 84 წლის მოსწავლე

მას შემდეგ, რაც 84 წლის კენიელმა შეიტყო, რომ ქვეყანაში უფასო დაწყებითი სწავლის პროგრამა ამოქმედდა, გადაწყვიტა სკოლაში ჩაწერილიყო. ხანდაზმულ პირველკლასელს უნდა პირველ რიგში ფულის დათვლა ისწავლოს, რადგან იმედი აქვს, რომ მიიღებს კომპენსაციას 1950-იან წლებში ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისთვის. წერა-კითხვის სწავლა კი ბიბლიის წასაკითხად უნდა.

## „თეფშდრომი" უცხოპლანეტელებისთვის

სამხრეთო კორეაში ერთ-ერთ მთაზე დაიწყეს მსოფლიოში პირველი მფრინავი თეფშების დასაფრენი მოედნის მშენებლობა. მშენებლობისთვის საჭირო ფული ადგილობრივმა ბუდისტმა ბერმა გაიღო. მისი თქმით, იგი ბევრჯერ შეხვედრია ამ ადგილებში უცხოპლანეტელებს და ამიტომაც გადაწყვიტა დედამიწაზე მათი ვიზიტად ჩამოსვლისთვის მაქსიმალურად კომფორტული პირობები შეექმნა. გარდა მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესაბამისად აღჭურვილი „თეფშდრომისა", სტუმრებისთვის შენდება დარბაზი პრეს-კონფერენციებისთვის, მოედნის მთელ პერიმეტრზე კი დაიდგმება ავტომატური ვიდეოკამერები, რომლებიც უცხოპლანეტელთა ჩამოფრენის ეპოქალურ მოვლენას აღბეჭდავენ.

## მწვანეგულიანი კვერცხისმდებელი ქათმები

ფრანგული სოფლის პლან-დელა ტურის მცხოვრებლები კინაღამ გაგიჟდნენ, როდესაც ნახეს, რომ მათი ქათმების მიერ დადებულ კვერცხებს მწვანე გული ჰქონდა. შიშით ასეთ უჩვეულო კვერცხებს არავინ ეკარებოდა. ადგილზე ჩასულმა მეცნიერმა ორნიტოლოგებმა ყველაფერი გაარკვიეს. აღმოჩნდა, რომ აქაურ ქათმებს ძალიან მოსწონდათ სოფლის შემოგარენში უჩვეულოდ გამრავლებული კალიები და დიდი რაოდენობით შეექცეოდნენ მათ. კალიების მწვანე პიგმენტმა კი კვერცხის გულები შეღება. ეს იყო და ეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როდის ხდება ბიჭი მამაკაცი?

*შვილო ჩემო, დღეიდან შენ მამაკაცი ხარ, დაამუშავე შენი ყანა და დაიცავი იგი, გაატარე შენი ცხოვრება ისე, რომ შენ შემყურეებს, შენ შვილებსაც მოუნდეთ ნამდვილ მამაკაცად გაზდომა.*

ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, სამი ათას შვიდასი წლის წინათ შეიქმნა შუმერში. ეს გახლავთ მამის სიტყვები, რომლითაც იგი მიმართავს თავის მოზარდ ვაჟს.

„შენ, უსაქმოდ რომ დახეტიალობ ხალხმრავალ მოედნებზე, გაქვს თუ არა რაიმე წარმატების მიღწევის სურვილი? თუ გაქვს, მაშ გადაავლე თვალი თაობებს, რომლებიც შენამდე იყვნენ — შედი სკოლაში, ეს სიკეთეს მოგიტანს. შვილო ჩემო, გადახედე შენს წინამორბედებს, ჰკითხე მათ... შენ მოქანცე ჩემი გული... იმიტომ, რომ შენ ისე არ იქცევი, როგორც ნამდვილ კაცს შეეფერება. ჩემი გული თითქოს ბოროტმა ქარმა დააზრო. შენი ქცევით მე შენ სიცოცხლე მომისწრაფე... სხვა შენი თანატოლები შრომობენ, მშობლებს ეხმარებიან, შენ კი შენი ვაჟკაცობა მხოლოდ სიჯიუტით გინდა დაამტკიცო, მაგრამ იმათთან შედარებით შენ ვაჟკაცობისა არა გცხიარა..“

აბა რომელ ჩვენგანს არ სმენია ასეთი სიტყვები? ახლა უკვე აღარავინ წერს ლურსმული დამწერლობით, პირისაგან მიწისა გაქრა ეს ხალხიცა და მათი სახელმწიფოც, მაგრამ ამ. უძველესი წერილობითი დოკუმენტის შინაარსი კვლავ ძველებურად საჭირბოროტოდ ჟღერს. მოკლედ რომ ვთქვათ, მოზარდის პრობლემა — „გარდამავალი ასაკის პრობლემა“ სამყაროსავით ძველია.

რა ასაკიდან ითვლება ადამიანი მოზრდილად? ამაზე ათასი სხვადასხვა აზრი არსებობდა და არსებობს.

„როცა იგი იარაღის ტარებას შეძლებს“ — უპასუხებდნენ ავარელები და ამ აზრს იზიარებდნენ დაღესტნის სხვა ხალხებიც.

„როდესაც იგი შეძლებს მოზრდილივით ხარჯოს ფული“ — ამტკიცებს ამერიკელი ფსიქოლოგი დენი.

„როცა იგი ოჯახის შექმნას შეძლებს“, „როცა თავის რჩენას შეძლებს“, — ამ მსჯელობათა ავტორების დასახელება ძნელია, რადგან ისინი ურიცხვნი არიან.

როდის, როდის, როდის... მაინც როდის? ამ პრობლემის ხსნებაც არ იქნებოდა, შესაძლებელი რომ იყოს



ერთ მშვენიერ დღეს ბავშვს უთხრა: „აბა, დღეის ამას იქით შენ უკვე დიდი ხარ, დაეხსენ მაგ სათამაშოებს და იყავ მოზრდილი ადამიანი!“

მაგრამ, საუბედუროდ, საქმე სულ სხვაგვარადაა. ბავშვობასა და მოზრდილობას შორის დევს გარდამავალი ასაკის ბობოქარი პერიოდი, როცა ერთ წუთში კაცს შეუძლია მოისმინოს „შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ“ და „შენ უკვე დიდი ხარ“ და ორივე ეს შენიშვნა თანაბრად მართებული და გულწრფელი იქნება.

მაგრამ იყო დრო, როცა კაცობრიობისათვის ჯერ უცნობი იყო ეს პრობლემა, და ახლაც, ჩვენს დროში, არიან ტომები, სადაც ეს პრობლემა არ არსებობს.

ეს ტომები საგვარეულო წყობის პირობებში ცხოვრობენ. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ასეთი საზოგადოება მკაცრად არის დაყოფილი ასაკობრივ კატეგორიებად, ზუსტად განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით. ჩვეულებრივ, ასეთი სამი კატეგორიაა: ბავშვები, ახალგაზრდები და უფროსები. სხვადასხვა ხალხში სხვადასხვაგვარად ხდება ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, მაგრამ ყველა მათგანთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უფროსთა კატეგორიაში გადასვლას. ამ კატეგორიაში რომ გადახვიდე, უნდა ჩააბარო „გამოცდა“, სადაც მხოლოდ ორი შეფასებაა: „ჩააბარა“ და „ვერ ჩააბარა“. ის, ვინც ჩააბარებს, ხდება ტომის სრულუფლებიანი წევრი, ხოლო ვინც ვერ ჩააბარებს (ასეთები ცოტანი არიან), იმათი ბედი სავალალოა. ინდიელოჯიბვეელთა ტომში ყმაწვილს, რომელიც ამ გამოცდას ვერ ჩააბარებს, ქალის კაბას აცმევდნენ და ყველაზე შავ სამუშაოს მიუჩენდნენ. ავსტრალიელი აბორიგენები ასეთ ადამიანს მთელი სიცოცხლე ბავშვად შერაცხავდნენ და, ვიდრე თმა გაუჭაღარავდებოდა, მას ბავშვებთან უნდა ეთამაშა, ყოველგვარი მორთულობის გარეშე, შიშველს უნდა ევლო და მორჩილად აეტანა გვარის ყველა მოზრდილისაგან ლანძღვა და შეურაცხყოფა.

მოზრდილობაში გადასვლას თან ახლავს ინიციაცია (ლათინური სიტყვისაგან „initatio“ — რაც ხელდასხმას, კურთხევას ნიშნავს), რომლის დროსაც ყმაწვილს ასწავლიან ყველაფერს, რაც ცხოვრებაში დაჭირდება, ასწავლიან ნადირობას, მიწის დამუშავებას, კალათებისა და ჭილობის მოწნას, ასწავლიან გვარის კანონ-წესებს, შეაგონებენ, „რა არის კარგი და რა არის ცუდი“. მოთმინებით განუმარტავენ როგორ უნდა ეჭიროს თავი დიდ ადამიანს ყოველგვარ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. ამასთან დაწვრილებით უამბობენ როგორ ისჯება ის, ვინც გვარის კანონს დაარღვევს.

ავსტრალიელ კამილართა ტომის მოხუცები როცა გადაწყვეტენ, რომ დროა ყმაწვილმა ინიციაცია გაიაროსო, იგი ბანაკიდან გაჰყავთ, ქალები ამას სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ: ყვირიან, მოთქვამენ, ცდილობენ ბიჭი მოხუცებს ხელიდან გამოჰგლიჯონ. ქალებს ბიჭის მამაც ეხმარება, მაგრამ მოხუცები ბიჭს გადაჯვარედინებულ

შუბებზე აწვენენ და მიჰყავთ. ტანს წითელი ჟანგმიწით უღებავენ. ასე იქცევიან ყოველთვის „დაკრძალვის“ ცერემონიალის შესრულებისას. ბიჭს ნამდვილი მიცვალებულივით უჭირავს თავი. შეკითხვებზე არ პასუხობს და რამდენიც არ უნდა ჩხვლიტონ და ჯგვლიმონ, წარბსაც არ შეარხევს.

პირველ რიგში ბიჭს კბილს ჩაუმტვრევენ. ეს კურთხევის დასაწყისია. კბილი ხელიდან ხელში გადადის, შორეულ ბანაკებში მიაქვთ და ამით მტერ-მოყვარეს აუწყებენ, რომ ბიჭი კურთხევას გადის. შემდეგ კბილს მარხავენ. ეს სიმბოლურია. ბავშვი მოკვდა და მას ასაფლავებენ. ამის შემდეგ ხელდასხმული შინ აღარ ბრუნდება. იგი არცერთმა ქალმა და არცერთმა უცხო მამაკაცმა არ უნდა ნახოს. ის ყველას ემალება, მხოლოდ მამებს მიაქვთ მასთან საჭმელი. არავითარი საბაბით არა აქვს თავისი გვარის ბანაკში მისვლის უფლება: „ისინი აღარ არიან ამქვეყნად“. „არყოფნა“ თითქმის ერთ წელს გრძელდება. მთელი ამ წლის მანძილზე მოზარდები სწავლობენ. თითოეულ ბიჭს ჰყავს მასწავლებელი, რომელიც „ცოლის ბიძად“ იწოდება. იგი ხელმძღვანელობს ბიჭის წვრთნას, ეუბნება რა უნდა გააკეთოს, ეხმარება სიძნელეების დაძლევაში. ერთი წლის სწავლების განმავლობაში ბიჭი ერკვევა წმინდა წესების რაობაში. მას შთააგონებენ, რომ ყველაფერი, რაც მან ნახა და გაიგო, საშინელი საიდუმლოებაა, რომელიც არავის არ უნდა გაანდოს.

და ბოლოს, როცა ყველა ეს გამოცდა ჩაბარებულია, დგება „ცეცხლის ცერემონიის“ რიგი. ხელთდასასხმელები ცეცხლის ირგვლივ სხდებიან და ცეცხლის ალს მიშტერებულები წმინდა საგალობელს მღერიან. მღერიან, ვიდრე ცეცხლი არ მინავლდება. მაშინ კი უხუცესის განკარგულებით, ისინი შიშველი ფეხებით იწყებენ ნაკვერჩხლების ჩაქრობას. ხოლო, როცა უკანასკნელი ნაკვერჩხალი ჩაქრება, ირგვლივ გაისმის გამაყრუებელი ყიჟინი: უფროსები ესალმებიან ახალდაბადებულ მოზრდილ მამაკაცებს.

ახლა, ვიდრე გვარის ბანაკს დაუბრუნდებოდნენ, ამ ახალგამომცხვარ მამაკაცებს კიდევ ერთი რიტუალის შესრულება უხდებათ, ეს უკვე განბანვაა, ამით ისინი იცილებენ ინიციაციის ყოველგვარ გარეგნულ ნიშანს, რომელიც შეიძლება შენიშნონ იმათ, რომელთაც არა აქვთ უფლება ნახონ და იცოდნენ ყველაფერი ის, რაც უფროსმა მამაკაცებმა იციან...

მამაკაცად საკურთხებელი ყმაწვილი თითქმის ყველა გვაროვნული წყობით მცხოვრებ ხალხში „კვდება“. გამოცდა, რომელსაც იგი გადის, ვიდრე „ხელმეორედ დაიბადებოდეს“, უმეტეს შემთხვევაში ძალიან მძიმეა. მაგალითად, გვიანის ტაულიპანგის



ტომის ხალხში ასეთ შემთხვევაში საკურთხებლად გამზადებულ ბიჭუნებს ტანზე ასხამენ წითელ ჭიანჭველებს, რომლებიც ცნობილი არიან საოცარი სიმწარის ნაკბენით. ბიჭუნამ კი ასობით ამ საშინელი ჭიანჭველის კბენა უნდა აიტანოს და თანაც იცინოს და ეხუმროს მის ირგვლივ შემოკრებილ ხალხს. აპარაის ტომის ხალხებში კი „მამაკაცობის კანდიდატებმა“ უნდა იცეკვონ და იმღერონ მთელი დღის განმავლობაში შეუსვენებლივ, ვიდრე ილაჯგაწყვეტილები არ დავარდებიან მიწაზე. აპარაები მონადირე ხალხია, მონადირეს კი უნდა შეეძლოს ნადირის დადევნება, და როგორ სწრაფადაც არ უნდა გარბოდეს იგი, უნდა დაეწიოს და მოკლას. სულ რამდენიმე წუთს აცლიან დავარდნილ ბიჭუნას სულის მოთქმას, მერე ქოხში შეჰყავთ, იქ იგი იხურავს ფრინველთა ფრთებისაგან გაკეთებულ თავსამკაულს, იღებს ფლეიტას, მშვილდ-ისარს და კვლავ მთელი ღამე – განთიადამდე ცეკვავს! განთიადზე შამანი მას თმას შეკრეჭს, კისერზე ყელსაბამს ჩამოჰკიდებს და მიართმევს სიცოცხლეში პირველ წინსაფარს – მოზრდილი მამაკაცის სამოსს.

* * *

დიდი ცხოვრებისათვის ბავშვის მომზადებას ყველაზე ადრე ასაკიდან იწყებდნენ ჩრდილოამერიკელი ინდიელები: ბიჭს ჯერ კიდევ აკვანში უწყობდნენ შუბს და მშვილდ-ისარს. ცხადია, ეს იარაღები პაწაწკინტელა იყო, მაგრამ აუცილებლად ნამდვილი – ამ მშვილდ-ისრით შეიძლებოდა სროლა, შუბით – ჩხვლეტა. იზრდებოდა ბავშვი, იზრდებოდა სათამაშოების მოცულობაც. კურთხევის ვადამდე დიდი ხნით ადრე იწყებდნენ ბავშვის წვრთნას მამა და პაპა. ასწავლიდნენ სირბილს. ხეზე ძრომას, ყინულივით ცივ წყალში ცურვას, ცხენის ჭენებას.

ახლა იმისათვის, რომ მეომარი გამხდარიყო, ბიჭს სიზმარში უნდა ენახა რაიმე ცხოველი – მომავალი მისი მფარველი. ბიჭი მიდიოდა ტყეში, რამდენიმე დღე შიმშილობდა, მხოლოდ შამანის მოცემულ რაღაც სასმელს სვამდა, ამ სასმელისა და შიმშილისაგან ეწყებოდა ჰალუცინაცია და, ვინაიდან მტკიცედ სწამდა, რომ ის აუცილებლად უნდა გამოსცხადებოდა მფარველი, მფარველი მართლაც ესიზმრებოდა...

იმ ხალხებში, რომელთაც საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურს მიაღწიეს, მამაკაცად შერაცხვის ცერემონიალი უფრო რთულია. ასე მაგალითად, დასავლეთ აფრიკაში არსებობდა თავისებური „უნიერსიტეტები“, სადაც სწავლობდნენ მომავალი მამაკაცები.

ამრიგად, ყველა ხალხს სხვადასხვა წეს-ჩვეულება აქვს და, ამდენად, მამაკაცად შერაცხვის სხვადასხვა ცერემონიალი. ალბათ, მათ შორის ყველაზე მარტივია ის ცერემონიალი, რომელიც აფრიკელი ზანდეს ტომის მესაქონლეებსა და მიწათმოქმედებს ჰქონდათ.

მამა ვაჟიშვილს გადასცემდა თოხსა და შუბს, მერე მხარზე ხელს დაადებდა და ეუბნებოდა: „შვილო ჩემო! დღეიდან შენ მამაკაცი ხარ, დაამუშავე შენი ყანა და დაიცავი იგი. გაატარე შენი ცხოვრება ისე, რომ შენს შემყურეებს, შენს შვილებსაც მოუნდეთ ნამდვილ მამაკაცებად გახდომა“.

აბა რომელი მამა – შუმერებიდან მოყოლებული დღემდე იტყოდა უარს ამ სიტყვებზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანჯელინა ჯოლი და ლტოლვილი ბავშვები



*ამერიკელი კინოვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი გაეროს უმაღლესი კომისრის ლტოლვილთა საქმეების კეთილი ნების დესპანია და ამდენად კარგად უწყის, რაოდენ მძიმეა ლტოლვილი ადამიანის ცხოვრება. გთავაზობთ მსახიობის ინტერვიუს, რომელიც მან საბავშვო ჟურნალ* **„National Geographic Kids“**-*ს მისცა:*

**„National Geographic Kids“: ვინ არიან ლტოლვილები?**

***ანჯელინა ჯოლი:*** – ლტოლვილები ის ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარ ქვეყანას ტოვებენ, რადგანაც ეშინიათ საფრთხის, რომელიც მათ სიცოცხლეს ემუქრება. უფრო ხშირად მათ რასობრივი, რელიგიური, ეროვნული თუ პოლიტიკური მოტივებით დევნიან.



**„National Geographic Kids“: – რამ გადაგაწყვეტინათ ლტოლვილთა საქმეებისთვის მოგეკიდათ ხელი?**

***ანჯელინა ჯოლი:*** მე სულით ხორცამდე ვიყავი შეძრული, როცა გავიგე, რომ მსოფლიოში 20 მილიონზე მეტი ლტოლვილია. გადავწყვიტე, შევხვედროდი მათ, რაც შეიძლება მეტი გამეგო მათ შესახებ.

**„National Geographic Kids“: რას აკეთებთ ხოლმე, როდესაც ლტოლვილთა ბანაკებში ჩადიხართ?**

***ანჯელინა ჯოლი:*** დავდივარ ჰოსპიტლებში, სურსათის გამანაწილებელ პუნქტებში. მე სახლების შენებაშიც კი ვეხმარებოდი ლტოლვილებს. უფრო ხშირად კი ვუსმენ ლტოლვილებს, მათ მონათხრობს საკუთარი ცხოვრების შესახებ. ხოლო როდესაც ვბრუნდები, ვცდილობ საყოველთაო ყურადღება მივაპყრო მათ საშინელ მდგომარეობას. მე ლტოლვილთა ძალა და შეუპოვრობა შთამაგონებს.

**„National Geographic Kids“: ლტოლვილი ბავშვები რა ყოფაში არიან?**

***ანჯელინა ჯოლი:*** მათ ძალიან უჭირთ – ბევრმა მათგანმა იმდენი რამ გადაიტანა! ისინი ცხოვრობენ ლტოლვილებით სავსე ბანაკებში, სადაც არც სათამაშოები აქვთ, არც სასკოლო სახელმძღვანელოები, არც ელემენტარული ყოფითი პირობები. ლტოლვილი ბავშვები თანატოლებზე ბევრად უფროსები და ჭკუადამჯდარები არიან.

**„National Geographic Kids“: ამერიკის ბავშვებს რა დამოკიდებულება აქვთ ლტოლვილებთან?**

***ანჯელინა ჯოლი:*** ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო. ჩვენ ყველას გვინდა სწავლა, გვინდა ვგრძნობდეთ ახლობლების სიყვარულსა და ზრუნვას, გვინდა უსაფრთხოდ ვგრძნობდეთ თავს, ჩვენი შეხედულებისდა მიხედვით წარვმართავდეთ საკუთარ ცხოვრებას. და ჩვენს მშობლებს, მამა-პაპას ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ არ ეპოვათ თავშესაფარი, ჩვენ მოკლებული ვიქნებოდით იმ შესაძლებლობებს, უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებითაც ვამაყობთ.

**„National Geographic Kids“: თქვენ ლტოლვილების დასახმარებლად 3 მილიონი დოლარი გაიღეთ. ბავშვებს თუ შეუძლიათ რაიმეთი დაეხმარონ მათ?**

***ანჯელინა ჯოლი:*** გაუწოდეთ ლტოლვილებს დახმარების ხელი, დაეხმარეთ მათ, ისე იგრძნონ თავი, როგორც საკუთარ სახლში – და ეს ბევრ რამეს შეცვლის. ბავშვებს, მაგალითად, შეუძლიათ თავ-თავიანთ რაიონებში სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები მოაწყონ. მათ შეუძლიათ უფრო მეტი გაიგონ ადამიანის უფლებების შესახებ – ასე უფრო ადვილად მიხვდებიან, რა დღეში არიან ლტოლვილები.

**„National Geographic Kids“: რატომ არის ასე მნიშვნელოვანი, რომ ბავშვებმა სხვა კულტურები შეისწავლონ?**

***ანჯელინა ჯოლი:*** ჩვენ სხვადასხვაგვარად ვუყურებთ სამყაროს, ამიტომაც ვართ ასეთი საინტერესონი. წარმოიდგინეთ, რომ ყველა აბსოლუტურად ერთნაირი გახდა, ეს ხომ მოსაწყენი იქნება, ასე არ არის?

**„National Geographic Kids“: ლარა კროფტს რომ ლტოლვილების დახმარება შეძლებოდა, რას გააკეთებდა?**

***ანჯელინა ჯოლი:*** ლარა კროფტისთვის მთავარია იცოდე, რა გინდა, და არ უღალატო საკუთარ რწმენას. ის ლტოლვილებს ასწავლიდა საკუთარი ოცნებების ხორცშესხმას და კიდევ, ალბათ, თავის დაცვას. და აუცილებლად მოითხოვდა სხვა კულტურებისადმი სათუთ დამოკიდებულებას, პატივისცემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა არის ცრემლები

გიფიქრია, რა არის ცრემლი? როგორ ჩნდება ის? მაინცდამაინც მაშინ



რატომ გვადგება ცრემლები, როდესაც რაღაც გვტკივა, გვაწუხებს, რაღაცას ვდარდობთ ან განვიცდით? ან სიხარულის ცრემლები რატომღა გვდის ხოლმე? თურმე ეს მომლაშო სითხე უბრალოდ აუცილებელია, რადგანაც თვალების მგრძნობიარე რქოვანას დაშრობისგან იცავს. ხოლო თუ თვალში რაღაც ჩაგვივარდა, უმალ ჩაერთვება საცრემლე ჯირკვალი და ცრემლის ნაკადს უმალ თან მიაქვს ის.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე საშუალოდ 80 ლიტრ ცრემლს ღვრის.

კი მაგრამ, საიდან ჩნდება ასეთი რაოდენობის სითხე? თურმე „ცრემლის წყარო“ თვალის გარეთა კუთხეში, უპეში მდებარეობს. ნუშის ტოლა ჯირკვალი ყოველდღე დაახლოებით ერთი სათითის ოდენა ცრემლებს აწარმოებს, როცა ჩვენ თვალებს ვახამხამებთ, ცრემლები რქოვანაზე ნაწილდება, მერე კი თვალის შიგნითა კუთხისკენ ჩაედინება. სწორედ აქ მდებარეობს საცრემლე არხების „სადინარი ხვრელები“, ამ „ჩასადენი მილებით“ სითხე ცხვირის ღრუში ჩაედინება. ამიტომაც არის, რომ ტირილის შემდეგ ხშირად გვიწევს ცხვირის მოხოცვა. იმ შემთხვევაში, როდესაც მეტისმეტად ჭარბი რაოდენობის ცრემლების გამომუშავება ხდება, არხები პირთამდე ივსება და მაშინ ცრემლები ლოყებზე გადაიღვრება. თითქოს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მეცნიერები დღემდე იმტვრევენ თავს და ვერ შეთანხმებულან, რატომ ტირიან ადამიანები, როცა წუხან? მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ტირილით ადამიანს გულზე ეშვება. გულისამაჩუყებელი ფილმის ყურებისას აცრემლებულ ადამიანთა ცრემლებში მარტო ჩვეულებრივი წყალი, მარილი და ჭუჭყი კი არ აღმოაჩინეს, არამედ ცილაც, რომელიც ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ცუდ განწყობილებაზე „აგებს პასუხს“. მას შემდეგ, რაც ეს ცილა ორგანიზმიდან გამოდის, გუნება-განწყობილება უმჯობესდება. გამოდის, რომ ტირილი ერთგვარად ნაგვის მოცილებას ჰგავს.

ცრემლები, ტირილი სიბრალულს, თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ არა ყველა ხალხში და არა ყოველთვის. მაგალითად, ნიგერიელებისთვის ცრემლების ღვრა სამარცხვინოა, მათი უმრავლესობა შვილებს პატარაობიდანვე უკრძალავს ტირილს, ის კი არა, მტირალა ბავშვები ხშირად იტყიპებიან კიდეც. კაცმა რომ თქვას, აცრემლებული მამაკაცი არც ევროპასა და ამერიკაში მოსწონთ მაინცდამაინც. მაგალითისთვის, ედმუნდ მასკის ამბავიც იკმარებს. ეს უკანასკნელი 1972 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. ერთ-ერთ შეხვედრაზე ჟურნალისტებმა ისეთი კითხვა დაუსვეს, რომ მასკიმ თავი ვერ შეიკავა და ცრემლები წამოუვიდა. თუმცა მოგვიანებით პრეზიდენტობის კანდიდატი თავს იმართლებდა, თვალში თოვლის ფიფქები ჩამივარდა და ცრემლები იმიტომ წამომივიდაო, მაგრამ ამაოდ – ამერიკელებმა სუსტი და მტირალა კაცი პრეზიდენტობის ღირსად არ მიიჩნიეს...

ადამიანების ცრემლების საქმე მეტ-ნაკლებად გავარკვიეთ, მაგრამ ისიც ხომ საინტერესოა, ცხოველები თუ ტირიან? მათაც ხომ აქვთ განცდები, საწუხარ-სატკივარი და მათაც ხომ უხარიათ ხოლმე რაღაც? მეცნიერებმა ამის შესახებ ჯერ არაფერი იციან, თუმცა, ზოოპარკის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ უნახავთ ცრემლები სპილოს თვალებზე.

უთუოდ გაგონილი გექნება გამოთქმა „ნიანგის ცრემლები“, რომელსაც თვალთმაქცობის აღსანიშნავად ხმარობენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ნიანგი, თავის მსხვერპლს რომ გადასანსლავს, მერე სიბრალულის ცრემლებს ღვრის. სინამდვილეში კი ნიანგი სულ სხვა მიზეზით „ტირის“ – უბრალოდ ცრემლების მეშვეობით მისი ორგანიზმი მორიგ საკვებთან ერთად მიღებული ჭარბი მარილებისგან თავისუფლდება.

**ცრემლები ჩნდება თვალის გარეთა კუთხეებში, სადაც ზედა ქუთუთოს ქვეშ საცრემლე ჯირკვალი მდებარეობს (1). ეს ჯირკვალი ყოველდღიურად გამოიმუშავებს დაახლოებით ერთ სათითე სითხეს, რომელიც თვალის ხამხამის დროს კონიუნქტივიტზე (2) და რქოვანაზე**




**(3) ნაწილდება. აქედან ის საცრემლე არხებით თვალების კუთხეებისკენ (4) მიედინება, მერე საცრემლე ტომარაში (5) ეშვება, საიდანაც ცხვირის ღრუსკენ (6) განაგრძობს გზას. როდესაც ჩვენ ვტირით, არხები ივსება, მოჭარბებული სითხე გამოდის და ცრემლებად გვდის ლოყებზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცვივა ციდან ფანტელი...



თითქოს არ ჩქარობს ზამთარი, დინჯად შემოდის, ნელ-ნელა გვაჩვევს ყინვას. მერე კი როგორც ზღაპარში, უცბად, ერთ ღამეში ააგებს ვერცხლის სასახლეს, ფიფქით მორთავს არემარეს, მიწას თოვლის საბანს წააფურავს, გუბეებს, ტბებსა და მდინარეებს ყინულით მოაარშიებს... გამოიღვიძებ ერთ მშვენიერ დილას და შეჭირხლული ფანჯრიდან ნამდვილ თოვლიან ზამთარს დაინახავ, უკეთ დასანახად კი უმალ მინის დაორთქვლა და გაწმენდა მოგინდება, მაგრამ ნუ იჩქარებ, დააკვირდი, ჭირხლის რა ლამაზი ნახჭები გამოუყვანია ყინვას, ზოგი ნაძვის ტოტს გავს, ზოგი – საოცარ ყვავილს, ზოგი – წვრილ-წვრილ ნემსებს... თუ ერთი ფანჯრიდან მეორისკენ გადაინაცვლებ, იქ სხვაა... ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ყინვა ამ ნახჭებს ჩვენი დახმარებით ხატავს. ჭირხლი ხომ მცენარეებზე და სხვა საგნებზე წიწვივით შეყინული ორთქლია. ჩვენ მიერ ამოსუნთქული თბილი ნესტიანი ჰაერი ძალიან ცივ მინას რომ ეხება, იყინება და ყინვის პაწაწკინტელა კრისტალებად იქცევა, რთულ ნახატებსა თუ სახეებსაც სწორედ ეს კრისტალები ქმნის. ამის შემოწმება სულ ადვილად შეიძლება. ხელი მიადე შეჭირხლულ მინას, ის ადგილი ჩამოდნება, ახლა დააორთქლე იგი და დაინახავ, როგორ გაჩნდება ყინულოვანი კრისტალური ნემსები. ყინულოვანი ნემსები შეხვედრისას ერთმანეთს შეეზრდებიან და ქმნიან ნახჭს, რომელიც უამრავი პაწაწინა კრისტალისგან შედგება.

ყინულოვანი ნახჭები ცივი სათავსოების ფანჯრებზე თუ მაღაზიების ვიტრინებზეც ჩნდება, მაგრამ აქ ყინულის კრისტალები ადამიანის დაუხმარებლად ილექება ჰაერიდან. ჰაერში ყოველთვის არის წყლის ორთქლი – უფერული და უხილავი გაზი, რომელიც „ხატვაში" ეხმარება ყინვას. თუ ყურადღებით დააკვირდები, შეამჩნევ, რომ ჭირხლი სხვადასხვა ფერია: ღრუბლიან დღეს – ცისფერი, მზეზე – ყვითელი, ჩამავალ მზეზე – ვარდისფერი და იისფერი.

მაგრამ ყინვა მარტო ფანჯრებს როდი ახარატებს ჭირხლით, იგი მიწაზეც ხატავს ყინულოვან ყვავილებს. ფოთლის ან ყვავილის მოყვანილობის ნახჭები ჭირხლდაკრულ ფხვიერ, ოდნავ ნოტიო ნიადაგზე უნდა ათვალიერო. უფრო ხშირად ყინულოვანი ყვავილები იქ ჩნდება, სადაც თბილი ჰაერი გამოდის, ვქვათ, იქ, სადაც მიწის ქვეშ თბოტრასის მილები გადის, სადაც სავენტილაციო ლიუკებია. ასეთ შემთხვევაში ყინულის კრისტალები ჯგუფ-ჯგუფად არის განლაგებული და უფრო ხშირად პალმებს, გვიმრებს, სხვადასხვა ყვავილებს მოგვაგონებს...

თოვს, უთვალავი ფიფქი ცვივა ღრუბლებიდან. მოფარფატებენ, ტრიალებენ, ცეკვავენ ფანტელები, შეუშვირე ხელთათმანიანი ხელი თოვლს და დააკვირდი ზედ დაშვებულ ფიფქებს, ოღონდ ცხვირ-პირზე ხელი მიიფარე, შენმა თბილმა სუნთქვამ რომ არ დაადნოს თოვლის ვარსკვლავი. ხედავ, რამდენნაირი მოყვანილობის კრისტალისგან შედგება ფიფქი, გეგონება არც ერთი არ ჰგავს მეორეს, მაგრამ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არსებობს ცხრა ძირითადი მოყვანილობის ფიფქი და სახელიც დაარქვეს ყოველ მათგანს: ფირფიტა, ვარსკვლავი, სვეტი, ნემსი, ბუსუსი, ზღარბი, საკინძე, გაყინული ფიფქი, ხორხოშელა. მაგრამ ფიფქები იმდენად სხვადასხვაგვარია, რომ ყოველი ასეთი თოვლის კრისტალი შეიძლება ძალზე მრავალი სახით შეგვხვდეს. მაგალითად, ვარსკვლავს შეიძლება ჰქონდეს სამიდან თორმეტამდე ქიმი. ზღარბისებრი ფიფქი კი შეიძლება ფირფიტოვანიც იყოს და ვარსკვლავისებრიც... 48 სახე, ვარიანტი, კომბინაცია. ეს ფიფქები, ერთად შეკრულ-შეწებებული ფიფქები კი ბამბის ქულების მსგავს ფანტელებს ქმნიან, რომლებიც ფაფუკ თოვლად ეფინებიან დედამიწას, სახლებს, ხეებს.

# რჩევები გოგონებს

არავინ იცის, როდის შეიმკო პირველად თავი ადამიანმა, ის კი უტყუარად არის ცნობილი, რომ სამკაულის ისტორიის საწყისები უძველეს ქვის ხანაში იკარგება. ცხადია, პირველ სამკაულად ჩვენი შორეული წინაპარი იმას გამოიყენებდა, რასაც ბუნება მზა-მზარეული სახით სთავაზობდა – ყვავილებს, ფოთლებს, კბილებს და ა.შ. ხოლო მას შემდეგ, რაც ადამიანმა ლითონი აღმოაჩინა და მისი დამუშავება ისწავლა, სამკაულის წარმოებაში სწორედ ლითონმა – სპილენძმა, ბრინჯაომ, ოქრომ და ვერცხლმა დაიმკვიდრა უმთავრესი ადგილი.

სამკაულის ძირითადი სახეობებიც სწორედ ამ პერიოდში, ბრინჯაოს ხანაში ჩამოყალიბდა – სამაჯური, სათითე-ბეჭედი, ყელსაბამი, გულქანდა, საყურე, დიადემა. ყველა ამ სამკაულს ერთი უმთავრესი დანიშნულება ჰქონდა – ადამიანის გალამაზება, თუმცა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ისინი სხვა მნიშვნელობასაც იძენდნენ, ვთქვათ, ავგაროზის, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების ნიშნის და სხვა.

დღეს ზოგადად სამკაულის ფუნქცია-დანიშნულებათაგან ძირითადი შემკობა-გალამაზება უპირატესობს, თუმცა ნებისმიერი მათგანი დაკარგავს ღირებულებასაც და მშვენიერებასაც თუ უგემოვნოდ იქნება შერჩეული, თუ ადამიანის აღნაგობის, გარეგნობის, მისი შინაგანი სამყაროს შეუფერებელი იქნება, თუ არც ტანსაცმელს მოუხდება და არც დროს, ადგილს და ვითარებას.

სამკაულები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: „ყოველდღე გასაკეთებელი“ – საქმიანი, სპორტული იერის შესაქმნელად, „საგარეო“ და „მუდმივი“ – ძირითადად ძველებური, ნატიფი სამკაულები, ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ყოველთვის შეიძლება გაიკეთოთ.

## ყელსაბამი, გულქანდა, დიადემა...

ნაქსოვ სვიტერს, კაბას, კოსტიუმს უხდება ხის, კერამიკის, ლითონის, ძვლის მომსხო სამკაული. მსუქანი, სავსემკერდიანი გოგონა თუ ქალი კი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ერიდოს მსხვილი მძივების ან მოზრდილი მედალიონის ტარებას. მათ ნებისმიერი ლითონის წვრილი ძეწკვი უფრო მოუხდება. უფრო მეტი სიფრთხილე მართებთ ბიჟუტერიის შერჩევისას ტანდაბლებს. თავად იფიქრეთ, ვითომ ლამაზი იქნება, პატარა, მოკლე თითებზე წამოცმული დიდი და მასიური ბეჭედი? როგორი ძვირფასი და შესანიშნავი ნაოსტატარიც უნდა იყოს, ასეთ თითებზე ბეჭედი სასაცილო გამოჩნდება. უგემოვნებაზე მეტყველებს ერთ თითზე წამოცმული რამდენიმე, თანაც სხვადასხვა ფერის ბეჭედი.

გამოსასვლელ კაბასა და კოსტიუმს ძალიან მოუხდება წვრილი ძეწკვი მედალიონით და თხელი სამაჯური. მახვილჭრილიან კაბას გრძელი მძივი დაამშვენებს. საზეიმო, შეხვედრებზე და საღამოებზე შიშველ ყელს მოუხდება ხავერდისა და რიფსის თასმა, გულსაბნევი ფაიფურის ან ლითონის მედალიონით.

შეიძლება ითქვას, რომ სამკაულთაგან ყველაზე პრეტენზიული საყურეა და თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ გიხდებათ, საერთოდ ნუ გაიკეთებთ, ნურც კლიფსებს და ნურც ჩამოსაკიდ საყურეს.

საზოგადოდ გახსოვდეთ, რომ რაც ნაკლები სამკაული გიკეთიათ, მით უკეთესია. ნუ გაგიტაცებთ ძვირფასს მიმსგავსებული სამკაულები. ისინი მაინც „გასცემენ“ თავს და თქვენც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებენ. ბევრად მომხიბლავია იაფი, მაგრამ ნამდვილი მასალისაგან გაკეთებული სამკაულები (ხე, კერამიკა, ქარვა, ნახევრად ძვირფასი და ფერადი ქვები).

ბოლოს, კიდევ ერთი რჩევა: რაც უნდა მოდაში იყოს, ბევრ სამკაულს მაინც ნუ აიჩონჩხლავთ. გაიკეთეთ ლამაზი, ნატიფი და ისეთი სამკაული, თვალს, რომ არ სჭრის და თქვენს „მეს“ ესადაგება.

სამკაულების მინიმუმი – ბეჭედი ხელზე და ძეწკვი ყელზე, მაქსიმუმი – დაახლოებით ისევ ასე.

[illegible]

# ვინ უფრო მოგწონს?

## ამოირჩიე ერთი



### ვეფხვი

საუცხოო მხედველობისა და სმენის წყალობით შეუმჩნევლად ეპარება მსხვერპლს, შეუძლია 10 მეტრზე გადახტეს, ამასთან შესანიშნავად ცურავს. ვეფხვი მარტოხელაა – მეწყვილეს მხოლოდ ქორწინების პერიოდში ეძებს და პოულობს.

### თუ შენ ვეფხვები მოგწონს:

მაშასადამე, იცი, რაც გინდა და მიზნის მიღწევაც შეგიძლია. წარმატებებს აღწევ სპორტში, განსაკუთრებით ცურვა გიყვარს. საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ და ცალკე ან ერთ-ორ მეგობართან ყოფნა უფრო გიყვარს, ვიდრე დიდ კომპანიაში.



### დელფინი

საზოგადოდ თანამოძმეთა ჯოგთან ერთად დაცურავს; ზრუნავს ავადმყოფ ან დაჭრილ თანამოძმეზე, ზედაპირზე ამოყვინთვაში ეხმარება, რათა მან სუნთქვა შეძლოს.

### თუ დელფინი მოგწონს:

გულისხმიერი ადამიანი ხარ, ყოველთვის მეგობრების წრეში ტრიალებ და მზად ხარ მათი გულისთვის ყველაფერი გააკეთო. გულისხმიერებისა და საუცხოო მეხსიერების წყალობით აღიარებული ლიდერი გახდი.



**ზღვის კუ** კვერცხებს რომ დადებს, თითქმის სამი დღე ოკეანისკენ მიბობღავს და გზადაგზა დამშეული თოლიებისგან იცავს თავს. ის დიდ მანძილებზე დაცურავს, მაგრამ კვერცხების დასადებად ერთი და იმავე ადგილზე ბრუნდება. მარტოხელაა, მაგრამ თანამოძმეებთან ერთადაც შეუძლია ცურვა.

### თუ ზღვის კუ მოგწონს:

შენ სიახლეები, განუცდელი რამეები გიყვარს, გარისკვის არ გეშინია, გზას არასდროს ასცდები. შინ ჯდომა გიყვარს, გირჩევნია ყველაფერი თვითონ აკეთო, მაგრამ სხვებთანაც ადვილად პოულობ საერთო ენას.



**პინგვინი** არ დაფრინავს, ფრთები მას ცურვაში ეხმარება. ზოგიერთ საგანს ფერებში ხედავს, არჩევს იისფერს, ლურჯსა და მწვანეს. სიცოცხლის ბოლომდე ერთხელ არჩეული მეგობრის ერთგული რჩება.

### თუ პინგვინი მოგწონს:

შენ პრაქტკული, ენერგიული ადამიანი ხარ. მკვეთრად გამოხატული ხელოვანის საწყისით ხარ დაჯილდოებული, კარგად გრძნობ ფერს. ყველამ იცის, რომ კარგი მეგობარი ხარ.

# „მაგარი“ გამოგონებები

## პისტოლეტიდან სროლას მხოლოდ მისი პატრონი შეძლებს



ბელგიელმა მეიარაღეებმა შექმნეს პრინციპულად ახალი პისტოლეტი, რომელიც მხოლოდ მისი პატრონის ხელში ისვრის. პისტოლეტის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მის ტარში ჩამონტაჟებული 250 მიკროგადამწოდი ადვილად ცნობს პატრონის მიერ იარაღის ჩაბღუჯვის მანერასა და ძალას. გამოირკვა, რომ თითოეულ მსროლელს პისტოლეტის ხელში დაჭერის განუმეორებელი მანერა აქვს. გადამწოდები შეიძლება დაპროგრამდეს პისტოლეტის მფლობელის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელზე.

## ბანანები ელექტროენერგიის წყარო გახდება

ავსტრალიელმა ინჟინერებმა ბანანების საშუალებით ელექტროობის მიღება ისწავლეს. საქმე ის არის, რომ ქვეყანაში ბანანის მოსავლის დაახლოებით მესამედი ანუ წელიწადში 20 ათასი ტონა მაღაზიებამდე ვერ აღწევს, გადატანის დროს დაზიანებულ და ლპობაშეპარულ ხილს უბრალოდ ყრიან. ავსტრალიელმა მეცნიერებმა კი სწორედ ამ გადასაყრელად გამიზნული ბანანების გამოყენება გადაწყვიტეს. მჭიდროდ დახუფულ ჭურჭელში მოთავსებული ხილის ლპობისას გამოიყოფა აირი და სწორედ ეს აირი კვებავს ელექტროტურბინას. ახლო მომავალში მეცნიერები ლაბორატორიული ექსპერიმენტებიდან ბანანების დიდი ელექტროსადგურის მშენებლობაზე გადასვლას აპირებენ.




## ამიერიდან კატების „ენას“ გადათარგმნებს

იაპონელმა ინჟინრებმა გამოიგონეს ელექტრონული მოწყობილობა, რომელსაც კატების კნავილის ადამიანურ ენაზე თარგმნა შეუძლია. კატა მიკროფონში დაიკნავლებს და თხევადკრისტალურ ეკრანზე უმალ ჩნდება თარგმანი, მაგალითად: „რა კარგია!“, „თავი დამანებეთ!“, „საუცხოოა!“ „მომბეზრდა!“ და ა.შ. ამის შემდეგ კი ეკრანზე ჩნდება დახატული კატის პირი – სახე შესაბამისი „გამომეტყველებით“. მთარგმნელის შემოქმედებს მიაჩნიათ, რომ მათი გამოგონება კატებსა და მათ პატრონებს შორის ნდობისა და სრული ურთიერთგაგების დამყარებას შეუწყობს ხელს.



## სათვალე გამოიცნობს იტყუებით თუ არა

ამერიკელმა ინჟინრებმა გამოიგონეს სიცრუის დეტექტივი, რომელიც სათვალეში თავსდება. ამ მოწყობილობის მფლობელის თვალწინ ინთება მწვანე, ყვითელი ან წითელი შუქჩრდილები, რომლებიც შესაბამისად აღნიშნავენ თანამოსაუბრის მიერ თქმულის სიმართლეს, ორჭოფულობას ან ტყუილს. დეტექტორი 8 ათასი ალგორითმის მეშვეობით 18 სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით ამოწმებს ადამიანის ხმას. გარდა ამისა, შეიძლება ამ ორიგინალური მოწყობილობის ემოციების განალიზების პროგრამაზე გადართვა. დეტექტორს იმის თქმაც შეუძლია, თუ რამდენად აინტერესებს თანამოსაუბრეს ლაპარაკის საგანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

* * *

მასწავლებელი მოსწავლეს: რომ იცოდე, პიერ, რა სიამოვნებით დაგიწერდი „ორიანს“, მაგრამ სამწუხაროდ, ნიშნის მომატების უფლება არა მაქვს.

* * *

ატირებული პატარა ჭიაველა დედას ეკითხება:

– დედიკო, ჩვენი მამიკო სად არის?

– ჩუ, ჩემო პატარა, ნუ ტირი, მამიკო ძიებთან ერთად სათევზაოდ წავიდა.

* * *

– ჟაკ, სად მიგყავს ეგ ძაღლი?

– მესაათესთან.

– ძაღლს მესაათესთან რა უნდა?

– რა ვიცი, ეს ოხერი სულ უკან მრჩება.

* * *

– წამო, ბურთი ვითამაშოთ!

– არა, ვერ წამოვალ, არა მცალია, მამას ჩემი საშინაო დავალებების მომზადებაში უნდა მივეხმარო.

* * *

არც ერთი შეცდომა არ არის, – უთხრა მასწავლებელმა ფრანტიშეკს მისი მათემატიკის საშინაო დავალებების რვეულის შემოწმების შემდეგ – ოღონდ სიმართლე მითხარი, მამაშენს ვინმე მიეხმარა?

* * *

მაქსი სკოლის დერეფანში დგას და მწარედ ტირის. კლასის დამრიგებელმა შენიშნა ის, მიუახლოვდა და ჰკითხა:

– რა მოხდა, ჩემო ბიჭო? რა გატირებს?

– ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი კიბეზე დაგორდა...

– ნუ წუხარ, არაფერი დაშავებია, კარგად არის, ისე რომ აღარ იტირო.

– როგორ არ ვიტირო, ყველამ დაინახა, მე კი ამ დროს ბუფეტში ვიყავი.

* * *

პიერმა მანქანა გააჩერა:

– ძია, მაგვიანდება, სკოლამდე მიმიყვანეთ რა!



– სიამოვნებით მიგიყვანდი, მაგრამ მე სხვა გზით მივდივარ.

– მით უკეთესი!

* * *

– მითხარით გეთაყვა, ის თქვენი ბიჭუნაა, ჩემს შარვალში სილას რომ ყრის? – ჰკითხა ბატონმა მარეშალმა ზღვის პლიაჟზე მის გვერდით მჯდომ კაცს.

– არა, ეგ ჩემი დისწულია, – მიუგო მან, – ჩემი ბიჭუნა აგერ ის არის, თქვენს ქუდს წყლით რომ ავსებს.

* * *

მასწავლებელმა ერთ-ერთი მოსწავლე გაიძახა:

– პეტერ, მობრძანდი და გაკვეთილი გვიამბე!

არავინ უპასუხა.

– პეტერ!

ბოლო მერხიდან ვიღაცამ ჩურჩულით უპასუხა:

– ბატონო მასწავლებელო, პეტერმა დაიძინა და გვთხოვა, არ გამაღვიძოთო.

* * *

რუსული ენის გამოცდაზე ვუნდერკინდი სხაპასხუპით პასუხობს ბილეთში მოცემულ საკითხებს. გაოცებული მასწავლებელი აჩერებს და ეკითხება:

– პატარავ, რა ხდება? შენ ხომ ჩინურად ლაპარაკობ!

– აუჰ, მასწ, როგორც ჩანს, წუხელ სიბნელეში თაროდან სხვა სახელმძღვანელო ჩამომიღია.

* * *

მასწავლებელი: მიშელ, შენ ისევ სხვა რაღაცით ხარ დაკავებული, ყურს არ მიგდებ!

მოსწავლე: როგორ არ გიგდებთ ყურს, მასწ?!

მასწავლებელი: მაშ, გაიმეორე, რა ვთქვი?

მოსწავლე: კი მაგრამ, თქვენ არ გვითხარით, სხვის ნათქვამს თუთიყუშივით ნუ იმეორებთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იწილო — ბიწილო

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 2. კურორტი საქართველოში. 3. სპორტის სახეობა. 4. ჭადრაკის ფიგურა. 6. ტბა საქართველოში. 8. სამი მუსიკოსისაგან შემდგარი ჯგუფი. 9. კურკოვანი ხილი. 11. მწერი. 12. ძველი საბერძნეთის ქალაქი. 14. შვლის ნაშიერი. 16. დროის მაჩვენებელი ხელსაწყო. 22. მინანქარი ანუ? 23. ქართული ხალხური სპორტის სახეობა. 24. ბოსტნეული მცენარე. 27. მტაცებელი ფრინველი. 28. სიმებიანი მუსიკალური საკრავი. 29. შავიზღვისპირა კურორტი. 31. „ბურატინოს თავგადასავლის" გმირი. 33. კონტინენტი. 34. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოს დედაქალაქი.

**თარაზულად:** 5. მასალა, რომელსაც კედლის შესათეთრებლად იყენებენ. 7. ძველებური ტრანსპორტი. 10. ტყის ნაყოფიანი მცენარე. 13. ციმბირის მდინარე. 15. სკანდინავიის ქალაქი. 17. აფრიკის მდინარე. 18. ყველაზე მტკიცე მინერალი. 19. ვოლგის შენაკადი. 20. ქართული ჟურნალი. 21. არწივის ნაშიერი. 24. აზიის სახელმწიფო. 25. ჩრდილო-ამერიკელ ინდიელთა ტომი. 26. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო. 30. საქართველოს მდინარე. 32. ცნობილი ესპანელი მხატვარი. 34. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი.

## თავსატეხი



ჩაწერეთ თარაზულ უჯრედებში ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა სახელები ისე, რომ მუქ სვეტში მიიღოთ „სვეტიცხოველი".

## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1. ინგლისელი მწერალი. 3. კანფეტი. 6. წარსულის შემსწავლელი მეცნიერება. 7. კუნძული ინდონეზიაში. 9. ნაღარა ანუ ... 10. ალ. ყაზბეგის ნაწარმოები. 11. სატელეგრაფო ნიშნების ავტორი. 13. მიწის დასამუშავებელი ძველებური ხის იარაღი. 14. ფრინველის კამარა. 16. დიდი რუსი მწერალი. 18. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება. 19. დადებითად დამუხტული ელექტროდი.



**ვერტიკალურად:** 1. ქალაქი კორეაში. 2. მდინარე საქართველოში. 3. ჭრილობა ანუ... 4. გარეული ცხოველი. 5. პარკოსანი მცენარე. 8. სამეცნიერო ჟურნალების გავრცელებული სახელწოდება. 9. ცნობილი ფრანგი მწერალი. 12. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 13. გამხმარი ხილი. 15. მდინარე ევროპაში. 16. მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში. 17. ბერძნული ანბანის ასო.

# ჩვენი ვერნისაჟი







ლიზი ელიავა
5 წლის



სალომე
დურგლიშვილი,
თბილისის
51-ე საშ. სკოლა,
IV კლასი







ალექსანდრე ლომიძე,
სკოლა „სარკმელი“, I კლასი



მარიამ
ფილიშვილი,
სკოლა „სარკმელი“,
I კლასი



თორნიკე
ჩანადირი,
სკოლა „სარკმელი“,
I კლასი

ნ 142/46

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მომავალი



გიორგი ასათიანი



4 წლის
აკო ჯაფარიძე



1,5 წლის ანკა და
4 წლის დათკა
შვანგირაძეები



3 წლის
ანი შათირიშვილი



3 თვის
ლიზი ჯაფარიძე

ბავშვთა სადღესასწაულო დარბაზი „ბეიბი ლენდი“ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და გიწვევთ საახალწლო შოუზე (20 დეკემბრიდან 14 იანვრის ჩათვლით). წარმოდგენილი იქნება საახალწლო მინი სპექტაკლი; ბავშვებს ელით გართობა სანტა-კლაუსთან, ფიფქიასთან, მხიარულ ჯამბაზებთან ერთად, ათასი სიურპრიზი და საჩუქარი. შესაძლებელია სანტა-კლაუსის გამოძახებაც. ჯგუფური დასწრების მსურველთათვის შეკვეთები მიიღება წინასწარ. იჩქარეთ!

ტელეფონი: 36-34-57; მობ: 877 46-32-98

მის. კოსტავას ქ. №67 (ტელევიზიის პირდაპირ)